

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „სტრომოსი“ (შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“) დაარსდა 2007 წელს, რომლის საქმიანობას წარმოადგენდა სანტექნიკის იმპორტი და რეალიზაცია, აგრეთვე სამშენებლო ბლოკების წარმოება. 2009 წელს შპს „სტრომოსმა“ აუქციონზე სახელმწიფოსგან შეიძინა რუსთავის ტერიტორიაზე არსებული ყოფილი ავტოდრომი (ე.წ. დოსაფი) და აიღო ვალდებულება აეშენებინა საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ავტოდრომი. თავდაპირველად ამ ობიექტის განახლებისათვის სახელმწიფოს მიერ სავალდებულო ინვესტიციის მოცულობა შეადგენდა 5 (ხუთი) მლნ ლარი, რომელიც გადაჭარბებით შესრულა და მომდევნო 2 წლის განმავლობაში განხორციელებულმა ინვესტიციამ ჯამში შეადგინა 30 (ოცდაათი) მლნ ლარი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინვესტიცია განხორციელდა მხოლოდ ერთი ფიზიკური პირის მიერ, მსოფლიოში წარმატებული სპორტსმენის და ავტოინჟინრის, ავტოსპორტის და ჩვენი ქვეყნის დიდი ქომაგის, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის დამფუძნებლის - ბატონი შოთა აბხაზავას მიერ.

2010 წლიდან დაიწყო აქტიური სამშენებლო სამუშაოები და 2012 წელს საქართველოში გაიხსნა ავტოდრომი ახალი სარბოლო ტრასით და თანამედროვედ მოწყობილი ევროპული დონის ინფრასტრუქტურით. ამავდროულად, კომპანიას გადაერქვა სახელი და შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომად იქცა, სანტექნიკის ბიზნესმა პრაქტიკულად შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა და კომპანიამ სრულიად სხვა, მეტად ამბიციური საქმიანობა წამოიწყო.

დღეს ავტოდრომი 75 ჰექტარზე გადაჭიმული ტერიტორიაა თბილისი-წითელი ხიდის გზ. 21-ე კმ-ზე, ფორმულა 2-ის დონის სარბოლო ტრასით (ტრასის სიგრძე 4200მ) და მცირე ტრასით (ე.წ. სარბოლო მოედანი 15 000 კვ.მ), კარტინგის უახლესი ტრასით (1333), 2 კაპიტალური ტრიბუნით - 7000 კაცზე, „პიტბილდინგი“ - ადმინისტრაციული შენობა მთავარი სამსახურით და პრეს-ცენტრით, თანამედროვედ აღჭურვილი რესტორნით 200 კაცზე და ვიპ-ზონა (120 კაცზე) განსაკუთრებული სტუმრებისათვის, ასევე 55 ბოქსით სპორტული ავტომობილებისათვის. ექსტრემალური სპორტისა და ტურიზმის მოყვარულთათვის მთელს მსოფლიოში რუსთავის ავტოდრომი ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს და თავის მხრივ, საქართველოსთვის სრულიად ახალ მიმართულებას ავითარებს. დღეისათვის რუსთავის ავტოდრომი არის არა მარტო ქვემო ქართლის და საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სპორტული მრავალფუნქციური ობიექტი, არამედ თავისი სიდიდითა და განსაკუთრებული მნიშვნელობით ერთადერთია სამხრეთ კავკასიაში.

ავტოსპორტი - ჩვენი ძირითადი საქმიანობის სეზონი იწყება გაზაფხულზე და გრძელდება გვიან შემოდგომამდე, რაც გულისხმობს საავტომობილო სპორტის სფეროში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიების ორგანიზებას. რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი უკვე მერვე წელია ოფიციალური ორგანიზატორია წრიულ რბოლაში საქართველოს ჩემპიონატისა. გარდა წრიული რბოლებისა, ავტოდრომზე ავტოსპორტის სხვადასხვა სახეობის პროფესიული და სამოყვარულო შეჯიბრებები იმართება: წყვილთა რბოლა, ტაიმ ატაკი, ფიგურული სლალომი, დრაგი, დრიფტი, სპრინტ რეისინგი და სხვ. იმართება. სეზონის დასასრულს კი თამაშდება Rustavi International Challenge-ის თასი, სადაც ქართველ ავტომრბოლელებთან ერთად უცხოელებიც ასპარეზობენ. რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, აქ პილოტები ერთმანეთს Formula Alfa-ს, Legends Cars-ის, BMW compact და Honda Civic-ის კლასის სპორტული ავტომობილებით ეჯიბრებიან როგორც ინდივიდუალურ, ასევე გუნდურ ჩათვლაში.

2017 წლის TCR-ის გახსნითი ეტაპი წინადადებული უდიდესი ნაბიჯი იყო, მაგრამ ჩვენ ამაზე არ გავჩერდებით. TCR - საერთაშორისო ჩემპიონატს უდიდესი რეზონანსი მოჰყვა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. რბოლას თვალს პირდაპირ რეჟიმში ადევნებდა ათიათასობით ადამინი, ხოლო მოგვიანებით რბოლის ჩანაწერი მსოფლიოს წამყვან სპორტულ არხებზე მილიონობით მაყურებელმა ნახა 189 ქვეყნიდან. ეს რბოლა შეფასებულია როგორც საქართველოსთვის

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპორტული მოვლენა და დიდი პროგრესია ქართული ავტოსპორტის ისტორიაში, ვინაიდან რუსთავის ავტოდრომმა საქართველოს მთავრობისა და შსს-ს თანადგომით, საკუთარი ინფრასტრუქტურული რესურსებით მოახერხა ჩაეტარებინა ტექნიკურად საქართველოსთვის უპრეცედენტო სირთულის შეჯიბრება წარმატებით.

სწავლება - როდესაც ადამიანი სისწრაფის წყურვილს ავტოდრომზე იკმაყოფილებს, ის ავტომატურად კარგი მძღოლი ხდება და ქუჩის სახიფათო რბოლებში აღარ მონაწილეობს. იმ ქვეყნებში, სადაც ავტოსპორტი ინტენსიურად ვითარდება, გზებზე ავტომობილის მართვის უმაღლესი კულტურაა. ჩვენი სასწავლო პროგრამები სწორეს ამ მაღალ მიზნებს ემსახურება და რასაც აქტუალური სოციალური მნიშვნელობაც აქვს.

ავტომობილის უსაფრთხო მართვის სასწავლო პროგრამებს ჩვენს ევროპული ასოციაციების მიერ დიპლომირებული მოდერატორებისა და ინსტრუქტორების მეშვეობით ვასწავლით. სასწავლო პროგრამები განკუთვნილია მართვის მოწმობის მქონე პირებისათვის, ასევე პროფესიონალი და მომეტებული რისკის შემცველი პროფესიის მძღოლებისათვის. ინსტრუქტორები და სასწავლო პროგრამები ლიცენზირებულია გერმანიისა და ავსტრიის სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციების მიერ, როგორც არის DVR (გერმანული საგზაო უსაფრთხოების კომისია), IHK -München Industrie-und Handelskammer (მიუნხენის კომერციული პალატა), DIHK (გერმანული საგაჭრო პალატა Deutsch Industrie-und Handelskammer). ჩვენი ცოდნა და გამოცდილება გამოიყენება:

- სანავთობო სამრეწველო ინდუსტრიაში ;
- საერთაშორისო და ლოკალური გადაზიდვები კომპანიების მიერ;
- გაყიდვებისა & დისტრიბუციის სფეროში მომუშავე საავტომობილო პარკების მიერ;
- მრავალეროვანი სამშენებლო პროექტებში;
- სახელმწიფოს უშიშროების, საგანგებო სიტუაციების, სასწრაფო დახმარების, პოლიციის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის უზრუნველყოფის სპეციალური სამსახურების მიერ;

ჩვენი სერტიფიკატების მიღების შემდეგ მძღოლებს საშუალება ეძლევათ იმუშაონ ევროკავშირის ქვეყნებში სპეციალური ნებართვების გარეშე.

ტურიზმი - გარდა სპორტული ავტომობილებისა, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის ავტოპარკი აღჭურვილია სპეციალურად ტურიზმისათვის განკუთვნილი სპეცტექნიკით და ავითარებს საქართველოში ექსტრემალურ და სათავგადასავლო ტურიზმს, რაც მეტად მზარდი მოთხოვნით სარგებლობს.

მოკლედ, თუ გსურთ შეიგრძნოთ ახალი თავგადასავლები, პირწავარდნილი ექსტრემალი ხართ ან უბრალოდ ეძებთ ახალ ემოციებს, მაშინ რუსთავის ავტოდრომზე შეგიძლიათ მოირგოთ ეკიპირება და გაისერნოთ სპორტული ავტომობილებით სრულიად დაცულ უსაფრთხო გარემოში სპეციალური ინსტრუქტაჟის და მეთვალყურეობის ქვეშ, შეიგრძნოთ სისწრაფის გემო საბავშვო, სამოყვარულო და სპორტული კარტინგებით. თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, შეგიძლიათ გაისერიწოთ უგზოობაში კუმისის ტბაზე საათნახევრიანი ტურით ბაგის ტიპის Polaris RZR-თ ან დავით გარეჯის უდაბნოში მთელი დღით და ისეთი პეიზაჟების ფონზე გადაიღოთ ფოტოები, სადაც ვერც ავტომობილით მიხვალთ და ვერც ფეხით. და თუ ესეც არ კმარა - თავბრუდამხვევი ენდურო ტურში გელოდებათ თუშეთში ან ყაზბეგში სამთო მოტოებით! რას იტყვით, რომ ამ დაუფიქრარი მოგზაურობის დასასრულს ემოციებით დაღლილებმა საჭაერო ბურთით ალაზნის ველის უკიდვარ სილამაზეში შეცუროთ? დიახ! ეს რეალობაა. მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ მიიღოთ ყველაფერი ერთად... ან ცალ-ცალკე!

კორპორაციული და კულტურული ღონისძიებები - ყველა, ვინც პირველად ხვდება ავტოდრომზე, აღტაცებული რჩება ქვემო ქართლის უდაბნო სტეპზე გაშლილი, თბილისიდან სულ 10

წუთის სავალზე გაშენებული რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის ულტრათანამდროვე ინფრასტრუქტურით, უზარმაზარი სივრცით და სერვისებით, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ. მაგრამ გარდა ავტო/მოტოსპორტისა, სხვადასხვა სახის ტესტ-დრაივებისა, სასწავლო აკადემიისა და ექსტრემალური ტურიზმისა, ჩვენ ხშირად ვმასპინძლობთ მასშტაბურ კულტურულ ღონისძიებებს, კინო და სარეკლამო რგოლების გადამღებ ჯგუფებს, კორპორაციულ ღონისძიებებს, საერთაშორისო ტრენინგებს თუ უბრალოდ უცხო გარემოში ფოტოსესიების მოყვარეულებს.

ყველაზე მასშტაბური საკონცერტო პროექტები განხორციელდა 2015 და 2018 წელს - Global gathering 2015 -მა უმასპინძლა 30 000 კაცს, ხოლო Chemical brothers-ის კონცერტს 2018 წლის სექტემბერში 15 000 ადამიანი დაესწრო. ასევე ავტოდრომის ინფრასტრუქტურას წელიწადში რამდენჯერმე სტუმრობს „გადაიღე საქართველოს“ ფარგლებში მოღვაწე მსოფლიო კინოინდუსტრიის წამომადგენლები, რომელთაც რამდენიმე ფილმი უკვე გადაიღეს ჩვენს სივრცეში.

განვითარების გეგმები

ავტოსპორტის სწორ განვითარებას პირველ რიგში სოლიდური ფუნდამენტი სჭირდება. ავტოდრომის საკუთრებაში არსებული 75 ჰა მიწის ფართობიდან კიდევ ასათვისებელია 25 ჰა იმისათვის, რომ ავტოდრომმა სრულად უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს: საჭიროა აშენდეს კიდევ 2 სახის ტრასა - მოტოკროსის ტრასა, ოფ-როუდის ტრასა (ტრიბუნებით და საჭირო ინფრასტრუქტურით), ასევე მედ-პუნქტი, სასტუმრო და საბავშვო ქალაქი. აღნიშნული პროექტებიდან ნაწილი მშენებლობის პროცესშია, რომელთა ღირებულებამ უკვე შეადგინა: მოტოკროსის ტრასა - 50 000 ლარი, ოფროუდ ტრასა - 100 000 ლარი, მომავალში განსახორციელებელი პროექტების ღირებულებაა: საბავშვო ქალაქი - 300 000 ლარი, სასტუმრო - 10 მლნ ლარი, მედპუნქტი - 300 000 ლარი. პროექტების დასრულება იგეგმება 2022 წლის ბოლომდე

საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღებთ თანამედროვე მსოფლიო დონის ავტოდრომს, რომელიც უმასპინძლებს საერთაშორისო დონის შეჯიბრებებს, ადგილობრივ ჩემპიონატებს და მოემსახურება ექსტრემალური სპორტის, ტურიზმისა და გართობის მოყვარულებს ავტო და მოტოსპორტის დარგში.

რუსთავის ავტოდრომზე კიდევ არაერთი საერთაშორისო სერიის რბოლის ჩატარება გვინდა. დიდი პოპულარობით სარგებლობს ტრადიციად ქცეული „რუსთავი ჩელენჯი“, მაგრამ არც ესაა საკმარისი. დიდი მიღწევაა ის, რომ საქართველო უკვე გამოჩნდა მსოფლიო ავტოსპორტის რუკაზე. როდესაც ქართული ავტოსპორტის განვითარებაზე ვსაუბრობთ, ჩვენთვის მაგალითია ლატვია, რომელიც ნამდვილად არ არის მდიდარი და დიდი ქვეყანა, მაგრამ ლატვიელი ავტო და მოტო მრბოლელები ძალიან სერიოზულ წარმატებებს აღწევენ. ასევე ფინეთი, სადაც 5 მლნ ადამიანი ცხოვრობს და ავტოსპორტის ქვეყანაა. ფინელებს ფორმულა 1-ში სამი ჩემპიონი ჰყავთ. ფინეთამდე, რა თქმა უნდა, ბევრი გვიკლია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. უდიდესი ნაბიჯები გადავდგით და ახლა კარტინგის განვითარებას ვიწყებთ. ავტოსპორტის უმთავრესი საძირკველი სწორედ კარტინგია, რომელმაც ახალი თაობა უნდა მოგვცეს. კარტინგში ჩატარდება როგორც საქართველოს ჩემპიონატი, ისე რეგიონული პირველობებიც. გარდა ამისა, უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები კარტინგის მსოფლიოში უდიდეს სერიასთან ROTAX-თან და იმედი მაქვს, რომ მალე ROTAX -ის მსოფლიო სერიის რბოლები სწორედ ჩვენს ტრეკზე. 2018 წელს რუსთავის ავტოდრომმა განაახლა თავის ინფრასტრუქტურული პროექტები და საქართველოს ახალი პროფესიული კარტინგის ტრასა შესძინა. ასევე 2019 წლიდან იფუნქციონირება ახალი მსოფლიო სტანდარტების მოტოკროსისა და ოფროუდის ტრასები. სამივე ამ ტრასას შეუძლია მომავალში მსოფლიო დონის ჩემპიონატებს უმასპინძლოს. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა გავითარდეს ავტო-მოტო სპორტი საქართველოში იმ დონეზე რომ მომავალში ქართველმა სპორტსმენებმა ღირსეული მეტოქეობა გაუწიონ მსოფლიოში წამყვან

სპორტსმენებს. ასევე გაკეთდა სპეციალური სამოყვარულო მცირე კარტინგის ტრეკი, სადაც ნებიმისმიერ მსურველს შეუძლია თავის ძალები მოსინჯოს და კარგადაც გაერთოს კარტინგით. მომავალი წლიდან ყველა ეს ტრასები სრული დატვირთვით ამუშავდება და თავის პირველ მოსწავლეებსაც მიიღებს.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის სპეციფიკა და საქმიანობა მეტად ვიწრო სეგმენტს ემსახურება, ამავდროულად ავტოდრომის მშენებლობაც და საქმიანობაც მიმართულია მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სპორტის - ავტოსპორტის განვითარებისა და ხელშეწყობისაკენ. შესაბამისად, თავისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, კომპანია მთელი არსებობის მანძილზე დოტაციურია და ზარალიანობის დაფარვა ხდება დაფუძნებლის პირადი სახსრებიდან. ზარალიანობა განპირობებულია როგორც უზარმაზარი ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ხარჯებით, ასევე მიწისა და ქონების მნიშვნელოვანად დიდი გადასახადებით.

ზარალიანობის დაძლევის მიზნით 2015 წელს განხორციელდა 4 500 000 დოლარის ინვესტიცია კომპანია „საგა იმპექსის“ 100% -ანი წილის შესყიდვით, რაც გამიზნული იყო ავტოდრომის ზარალიანი საქმიანობის დასაბალანსებლად წმინდა კომერციული საქმიანობიდან მიღებული დივიდენდებით.

ასევე სახელმწიფოს მხარდაჭერით და ქ. რუსთავის საკრებულოს გადაწყვეტილებით 2017 წელს ავტოდრომს მიეცა საშუალება შეემცირება ქონების გადასახადი 10-ჯერ მომდევნო 5 წლით ავტო და მოტოსპორტის დარგისთვის მიცემული შეღავათით (დაახლ. 350 000 ლარიდან 35 000 ლარამდე), რამაც მოგვცა საშუალება 2017 წელს აგვეგო ახალი კარტინგის ტრასა, რომლის საერთო ღირებულება სრული ინფრასტრუქტურით 2,5 მლნ ლარი შეადგინა, დავასაქმეთ 200-ზე მეტი ადამიანი მშენებლობაზე და საბოლოო ჯამში მივიღეთ უახლესი მსოფლიო სტანდარტის კარტინგის ტრეკი, რაც აუცილებელია ავტოსპორტის განვითარებისათვის. ამ პროექტით ჩვენ ვიმედოვნებთ მომავალ 5 წელიწადში ავღზარდოთ ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლიც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე გაუთქვამენ სახელს.

2017 წელს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომმა უმასპინძლა ერთ-ერთ მსოფლიო დონის შეჯიბრს TCR, რომლის დროსაც განხორციელდა ტრასის, ბოქსების და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების განახლება და რეკონსტრუქცია (დაახლ 0,3 მლნ ღირებულების). დონისძიებაზე მონაწილეობას იღებდა 16 ქვეყნის გუნდი, ესწრებოდა 10 000-მდე მაყურებელი 1000-ზე მეტი უცხოელი სტუმარი. ეს პროექტიც სახელმწიფოს მხარდაჭერით განხორციელდა და საშუალება მოგვცა საერთაშორისო მედიისა და მსოფლიო ავტოსპორტის ყურადღება მიგვეპყრო რუსთავის ავტოდრომისაკენ, რამაც დამატებითი შემოსავლები მოუტანა როგორც ავტოდრომს, ასევე მთელს ქვეყანას.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი და საამაყო პროექტია სარბოლო ბოლიდის - ფორმულა 3 -ის წარმოება. პროექტი წამოწყებულია 2015 წელს და მასზე მუშაობა დღესაც გრძელდება. პირველად საქართველოში საქართველოს სახელით მოხერხდა სპორტული ავტომობილის წარმოება, რომლის საერთო ღირებულებამ დაახლოებით 1,5 მლნ ლარი შეადგინა. სარბოლო ავტომობილი დაპროექტებულია ქართველი, რუსი და გერმანელი ავტოინჟინერების მიერ და მისი წარმოება სწორედ რუსთავის ავტოდრომზე მოხდა. სპორტულმა ბოლიდმა გაიარა ტესტირება და საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) ომლოგაციაც მიიღო, რაც რბოლებზე დაშვებას ნიშნავს. ეს არის უდიდესი წარმატება და ვიმედოვნებთ, რომ 2020 წლისათვის მოხერხდება ფორმულა 3-ის სერიული წარმოება.

ჩვენი ყველაზე პრესტიჟული პროექტია ევროპული და მსოფლიო სერიის - Lamborghini Supertrofeo-ზე საქართველოს გუნდის მონაწილეობა; აღსანიშნავია რომ საქართველოს დროშა არაერთგზის აფრიალდა მსოფლიოს უამრავ ავტოდრომზე: ქართული გუნდი „არტლან ჯორჯია“ გახდა 2015 წლის ევროპის ჩემპიონი, 2016 წლის მეორე ადგილი მფლობელი და 2017 წლის მესამე ადგილის პრიზიორი. ამ პროექტის ღირებულება შეადგენს დაახლ. 1,2 მლნ ლარს წელიწადში.

საერთო ჯამში 2012-2018 წლებში რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე განხორციელებულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა 45 მლნ ლარს გადააჭარბა.

თანამშრომლების რაოდენობა და სტრუქტურა

ავტოდრომი სტაბილურად ასაქმებს თვეში 60-მდე ადამიანს, რომელთაც საშუალო ხელფასი 1000 ლარია, ხოლო ადგილობრივი დონის ღონისძიებების გამართვის დროს დასაქმებულთა რაოდენობა 200 კაცამდეა. როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება ადგილობრივ მაცხოვრებლებს. ჩვენი სამსაჯო კორპუსი (70-100 კაცამდე) მთლიანად დაკომპლექტებულია რუსთაველი 20 წლამდე ახალგაზრდებით. საერთაშორისო დონის ღონისძიებებზე დასაქმებულთა რაოდენობა 500-დან 1500 კაცამდეა. მუდმივ შტატში მყოფი თანამშრომლები უზრუნველყოფენ კომპანიის გამართულ ფუნქციონირებას და ინფრასტრუქტურის მოვლას, ხოლო ღონისძიებებზე დროებით დასაქმებულთა თანამდებობები განისაზღვრება შემდეგნაირად: სამსაჯო კორპუსი (სპორტული რეგლამენტის შესაბამისად), ტექნიკური დახმარების ჯგუფები, დაცვის მომსახურება, სასწრაფოსა და სახანძროს მომსახურება, სარესტორნო და კვების ობიექტებზე მომსახურე პერსონალი, წამყვანები, მუსიკალური გაფორმება, პრომო აგენტები, სპორტული ჟურნალისტები და გადამღები ჯგუფები, მექანიკოსების მომსახურება, ტრეკების ინსპექტირება და სხვა. საერთო ჯამში 0,7 მლნ ლარზე მეტი წელიწადში მხოლოდ ფიზიკური პირების ანაზღაურებაზე მოდის.

რისკების მიმოხილვა

ვინაიდან ავტოსპორტი საქართველოში მეტად სუსტადაა განვითარებული, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის საქმიანობა არ არის მომგებიანი, ორგანიზაცია დამოკიდებულია შვილობილი კომპანიისგან მიღებულ დივიდენდებზე და დამფუძნებლისგან აღებულ სესხებზე. სამწუხაროდ, დღეისათვის შვილობილი კომპანიები ვერ უზრუნველყოფენ მომგებიან საქმიანობას იმდენად, რომ ავტოდრომის დაფინანსებით ჩანაცვლდეს დამფუძნებლის შენატანები. შესაბამისად, მთავარი რისკი, რაც კომპანიის ფუნქციონირებას შეუშლის ხელს - არის დამფუძნებლის მიერ დაფინანსების შეწყვეტა.

მნიშვნელოვანი გარე რისკ-ფაქტორებია: ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, ან პოლიტიკურ კრიზისები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს პოტენციური მომხმარებელთა რაოდენობა.

ეკონომიკური კრიზისი აიძულებს ადგილობრივ კომპანიებს მაქსიმალურად შეამცირონ თავისი მონაწილეობა/სპონსორობა სპორტში ჩართული გუნდებისათვის. ამის მაგალითია 2015-2018 წლების შედარებითი ანალიზი, როდესაც მსხვილი კომპანიები გაეთიშნენ ავტოსპორტს უსახსრობის გამო და თუ 2015-2016 წლებში ფინანსდებოდნენ სპორტული გუნდები ნავთობკომპანიების ან საბანკო სექტორის მხარდაჭერით, 2017 და 2018 წელს სპონსორი კომპანიების რაოდენობა წინა პერიოდთან შედარებით ნახევარზე ნაკლებია, რაც აიძულებს სპორტსმენებს და სპორტულ გუნდებს ჩამოშორდნენ ავტოსპორტს. ასევე ეკონომიკური კრიზისი (მაგალითად სავალუტო კრიზისი) უარყოფითად აისახება ქართველ

მომხმარებლებზე, რომელთაც სურთ ისარგებლონ ავტოდრომის სერვისებით, მაგრამ კრიზისის გამო ხელმისაწვდომობა იკლებს.

ჩვენი მომხმარებლების ნახევარზე მეტი უცხოელები არიან და ნებისმიერი პოლიტიკური რყევა მომენტალურად გრძელვადიან შეფერხებებს იწვევს. თუმცა, საბედნიეროდ საქართველო, მიუხედავად ოკუპაციისა, სტაბილურ და უსაფრთხო ქვეყნად მიიჩნევა, რაზეც მეტყველებს ტურიზმის განვითარების მეტად მზარდი ტენდენციები.

პ.ს. დაბოლოს, ჩვენი ღრმა რწმენით, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის ამბიციური და მეტად წინასწარი გეგმები აუცილებლად განხორციელდება: გაწეული ინვესტიციები და შრომა თავის ნაყოფს გამოიღებს, ავტოსპორტის პოლულარიზაციის ზრდასთან ერთად გაიზრდება მასში ჩართული ადამიანების რაოდენობა, გაძლიერდებიან შვილობილი კომპანიები და კომერციულად მომგებიან საწარმოებად გადაიქცევიან, ასევე სახელმწიფოს მხრიდან სპორტის მხარდაჭერით აუცილებლად მიიღწევა დასახული მიზნები.

პატივისცემით,
ლელა კალანდია
რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის დირექტორი

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „სტრომოსი“ (შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“) დაარსდა 2007 წელს, რომლის საქმიანობას წარმოადგენდა სანტექნიკის იმპორტი და რეალიზაცია, აგრეთვე სამშენებლო ბლოკების წარმოება. 2009 წელს შპს „სტრომოსმა“ აუქციონზე სახელმწიფოსგან შეიძინა რუსთავის ტერიტორიაზე არსებული ყოფილი ავტოდრომი (ე.წ. დოსაფი) და აიღო ვალდებულება აეშენებინა საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ავტოდრომი. თავდაპირველად ამ ობიექტის განახლებისათვის სახელმწიფოს მიერ სავალდებულო ინვესტიციის მოცულობა შეადგენდა 5 (ხუთი) მლნ ლარი, რომელიც გადაჭარბებით შესრულა და მომდევნო 2 წლის განმავლობაში განხორციელებულმა ინვესტიციამ ჯამში შეადგინა 30 (ოცდაათი) მლნ ლარი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინვესტიცია განხორციელდა მხოლოდ ერთი ფიზიკური პირის მიერ, მსოფლიოში წარმატებული სპორტსმენის და ავტოინჟინრის, ავტოსპორტის და ჩვენი ქვეყნის დიდი ქომაგის, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის დამფუძნებლის - ბატონი შოთა აბხაზავას მიერ.

2010 წლიდან დაიწყო აქტიური სამშენებლო სამუშაოები და 2012 წელს საქართველოში გაიხსნა ავტოდრომი ახალი სარბოლო ტრასით და თანამედროვედ მოწყობილი ევროპული დონის ინფრასტრუქტურით. ამავდროულად, კომპანიას გადაერქვა სახელი და შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომად იქცა, სანტექნიკის ბიზნესმა პრაქტიკულად შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა და კომპანიამ სრულიად სხვა, მეტად ამბიციური საქმიანობა წამოიწყო.

დღეს ავტოდრომი 75 ჰექტარზე გადაჭიმული ტერიტორია თბილისი-წითელი ხიდის გზ. 21-ე კმ-ზე, ფორმულა 2-ის დონის სარბოლო ტრასით (ტრასის სიგრძე 4200მ) და მცირე ტრასით (ე.წ. სარბოლო მოედანი 15 000 კვ.მ), კარტინგის უახლესი ტრასით (1333), 2 კაპიტალური ტრიბუნით - 7000 კაცზე, „პიტბილდინგი“ - ადმინისტრაციული შენობა მთავარი სამსახურით და პრეს-ცენტრით, თანამედროვედ აღჭურვილი რესტორნით 200 კაცზე და ვიპ-ზონა (120 კაცზე) განსაკუთრებული სტუმრებისათვის, ასევე 55 ბოქსით სპორტული ავტომობილებისათვის. ექსტრემალური სპორტისა და ტურიზმის მოყვარულთათვის მთელს მსოფლიოში რუსთავის ავტოდრომი ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს და თავის მხრივ, საქართველოსთვის სრულიად ახალ მიმართულებას ავითარებს. დღეისათვის რუსთავის ავტოდრომი არის არა მარტო ქვემო ქართლის და საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სპორტული მრავალფუნქციური ობიექტი, არამედ თავისი სიდიდითა და განსაკუთრებული მნიშვნელობით ერთადერთია სამხრეთ კავკასიაში.

ავტოსპორტი - ჩვენი ძირითადი საქმიანობის სეზონი იწყება გაზაფხულზე და გრძელდება გვიან შემოდგომამდე, რაც გულისხმობს საავტომობილო სპორტის სფეროში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას. რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი უკვე მერვე წელია ოფიციალური ორგანიზატორია წრიულ რბოლაში საქართველოს ჩემპიონატისა. გარდა წრიული რბოლებისა, ავტოდრომზე ავტოსპორტის სხვადასხვა სახეობის პროფესიული და სამოყვარულო შეჯიბრებები იმართება: წყვილთა რბოლა, ტაიმ ატაკი, ფიგურული სლალომი, დრაგი, დრიფტი, სპრინტ რეისინგი და სხვ. იმართება. სეზონის დასასრულს კი თამაშდება Rustavi International Challenge-ის თასი, სადაც ქართველ ავტომრბოლელებთან ერთად უცხოელებიც ასპარეზობენ. რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, აქ პილოტები ერთმანეთს Formula Alfa-ს, Legends Cars-ის, BMW compact და Honda Civic-ის კლასის სპორტული ავტომობილებით ეჯიბრებიან როგორც ინდივიდუალურ, ასევე გუნდურ ჩათვლაში.

2017 წლის TCR-ის გახსნითი ეტაპი წინგადადგმული უდიდესი ნაბიჯი იყო, მაგრამ ჩვენ ამაზე არ გავჩერდებით. TCR - საერთაშორისო ჩემპიონატს უდიდესი რეზონანსი მოჰყვა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. რბოლას თვალს პირდაპირ რეჟიმში ადევნებდა ათიათასობით ადამინი, ხოლო მოგვიანებით რბოლის ჩანაწერი მსოფლიოს წამყვან სპორტულ არხებზე მილიონობით მაყურებელმა ნახა 189 ქვეყნიდან. ეს რბოლა შეფასებულია როგორც

საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპორტული მოვლენა და დიდი პროგრესია ქართული ავტოსპორტის ისტორიაში, ვინაიდან რუსთავის ავტოდრომმა საქართველოს მთავრობისა და შსს-ს თანადგომით, საკუთარი ინფრასტრუქტურული რესურსებით მოახერხა ჩაეტარებინა ტექნიკურად საქართველოსთვის უპრეცედენტო სირთულის შეჯიბრება წარმატებით.

სწავლება - როდესაც ადამიანი სისწრაფის წყურვილს ავტოდრომზე იკმაყოფილებს, ის ავტომატურად კარგი მძღოლი ხდება და ქუჩის სახიფათო რბოლებში აღარ მონაწილეობს. იმ ქვეყნებში, სადაც ავტოსპორტი ინტენსიურად ვითარდება, გზებზე ავტომობილის მართვის უმაღლესი კულტურაა. ჩვენი სასწავლო პროგრამები სწორეს ამ მაღალ მიზნებს ემსახურება და რასაც აქტუალური სოციალური მნიშვნელობაც აქვს.

ავტომობილის უსაფრთხო მართვის სასწავლო პროგრამებს ჩვენს ევროპული ასოციაციების მიერ დიპლომირებული მოდერატორებისა და ინსტრუქტორების მეშვეობით ვასწავლით. სასწავლო პროგრამები განკუთვნილია მართვის მოწმობის მქონე პირებისათვის, ასევე პროფესიონალი და მომეტებული რისკის შემცველი პროფესიის მძღოლებისათვის. ინსტრუქტორები და სასწავლო პროგრამები ლიცენზირებულია გერმანიისა და ავსტრიის სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციების მიერ, როგორც არის DVR (გერმანული საგზაო უსაფრთხოების კომისია), IHK -München Industrie-und Handelskammer (მიუნხენის კომერციული პალატა), DIHK (გერმანული სავაჭრო პალატა Deutsch Industrie-und Handelskammer). ჩვენი ცოდნა და გამოცდილება გამოიყენება:

- სანავთობო სამრეწველო ინდუსტრიაში ;
- საერთაშორისო და ლოკალური გადაზიდვები კომპანიების მიერ;
- გაყიდვებისა & დისტრიბუციის სფეროში მომუშავე საავტომობილო პარკების მიერ;
- მრავალეროვანი სამშენებლო პროექტებში;
- სახელმწიფოს უშიშროების, საგანგებო სიტუაციების, სასწრაფო დახმარების, პოლიციის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის უზრუნველყოფის სპეციალური სამსახურების მიერ;

ჩვენი სერტიფიკატების მიღების შემდეგ მძღოლებს საშუალება ეძლევათ იმუშაონ ევროკავშირის ქვეყნებში სპეციალური ნებართვების გარეშე.

ტურიზმი - გარდა სპორტული ავტომობილებისა, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის ავტოპარკი აღჭურვილია სპეციალურად ტურიზმისათვის განკუთვნილი სპეცტექნიკით და ავითარებს საქართველოში ექსტრემალურ და სათავგადასავლო ტურიზმს, რაც მეტად მზარდი მოთხოვნით სარგებლობს.

მოკლედ, თუ გსურთ შეიგრძნოთ ახალი თავგადასავლები, პირწავარდნილი ექსტრემალი ხართ ან უბრალოდ ეძებთ ახალ ემოციებს, მაშინ რუსთავის ავტოდრომზე შეგიძლიათ მოირგოთ ეკიპირება და გაისერნოთ სპორტული ავტომობილებით სრულიად დაცულ უსაფრთხო გარემოში სპეციალური ინსტრუქტაჟის და მეთვალყურეობის ქვეშ, შეიგრძნოთ სისწრაფის გემო საბავშვო, სამოყვარულო და სპორტული კარტინგებით. თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, შეგიძლიათ გაისერიანოთ უგზოობაში კუმისის ტბაზე საათნახევრიანი ტურით ბაგის ტიპის Polaris RZR-თ ან დავით გარეჯის უდაბნოში მთელი დღით და ისეთი პეიზაჟების ფონზე გადაიღოთ ფოტოები, სადაც ვერც ავტომობილით მიხვალთ და ვერც ფეხით. და თუ ესეც არ კმარა - თავბრუდამხვევი ენდურო ტურში გელოდებათ თუშეთში ან ყაზბეგში სამთო მოტოებით! რას იტყვით, რომ ამ დაუვიწყარი მოგზაურობის დასასრულს ემოციებით დაღლილებმა საკაერო ბურთით ალაზნის ველის უკიდვრანო სილამაზეში შეცუროთ? დიახ! ეს რეალობაა. მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ მიიღოთ ყველაფერი ერთად... ან ცალ-ცალკე!

კორპორაციული და კულტურული ღონისძიებები - ყველა, ვინც პირველად ხვდება ავტოდრომზე, ალტაცებული რჩება ქვემო ქართლის უდაბნო სტეპზე გაშლილი, თბილისიდან სულ 10

წუთის სავალზე გაშენებული რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის ულტრათანამდროვე ინფრასტრუქტურით, უზარმაზარი სივრცით და სერვისებით, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ. მაგრამ გარდა ავტო/მოტოსპორტისა, სხვადასხვა სახის ტესტ-დრაივებისა, სასწავლო აკადემიისა და ექსტრემალური ტურიზმისა, ჩვენ ხშირად ვმასპინძლობთ მასშტაბურ კულტურულ ღონისძიებებს, კინო და სარეკლამო რგოლების გადამღებ ჯგუფებს, კორპორაციულ ღონისძიებებს, საერთაშორისო ტრენინგებს თუ უბრალოდ უცხო გარემოში ფოტოსესიების მოყვარულებს.

ყველაზე მასშტაბური საკონცერტო პროექტები განხორციელდა 2015 და 2018 წელს - Global gathering 2015 -მა უმასპინძლა 30 000 კაცს, ხოლო Chemical brothers-ის კონცერტს 2018 წლის სექტემბერში 15 000 ადამიანი დაესწრო. ასევე ავტოდრომის ინფრასტრუქტურას წელიწადში რამდენჯერმე სტუმრობს „გადაიღე საქართველოს“ ფარგლებში მოღვაწე მსოფლიო კინოინდუსტრიის წამომადგენლები, რომელთაც რამდენიმე ფილმი უკვე გადაიღეს ჩვენს სივრცეში.

განვითარების გეგმები

ავტოსპორტის სწორ განვითარებას პირველ რიგში სოლიდური ფუნდამენტი სჭირდება. ავტოდრომის საკუთრებაში არსებული 75 ჰა მიწის ფართობიდან კიდევ ასათვისებელია 25 ჰა იმისათვის, რომ ავტოდრომმა სრულად უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს: საჭიროა აშენდეს კიდევ 2 სახის ტრასა - მოტოკროსის ტრასა, ოფ-როუდის ტრასა (ტრიბუნებით და საჭირო ინფრასტრუქტურით), ასევე მედ-პუნქტი, სასტუმრო და საბავშვო ქალაქი. აღნიშნული პროექტებიდან ნაწილი მშენებლობის პროცესშია, რომელთა ღირებულებამ უკვე შეადგინა: მოტოკროსის ტრასა - 50 000 ლარი, ოფროუდ ტრასა - 100 000 ლარი, მომავალში განსახორციელებელი პროექტების ღირებულებაა: საბავშვო ქალაქი - 300 000 ლარი, სასტუმრო - 10 მლნ ლარი, მედპუნქტი - 300 000 ლარი. პროექტების დასრულება იგეგმება 2022 წლის ბოლომდე

საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღებთ თანამედროვე მსოფლიო დონის ავტოდრომს, რომელიც უმასპინძლებს საერთაშორისო დონის შეჯიბრებებს, ადგილობრივ ჩემპიონატებს და მოემსახურება ექსტრემალური სპორტის, ტურიზმისა და გართობის მოყვარულებს ავტო და მოტოსპორტის დარგში.

რუსთავის ავტოდრომზე კიდევ არაერთი საერთაშორისო სერიის რბოლის ჩატარება გვინდა. დიდი პოპულარობით სარგებლობს ტრადიციად ქცეული „რუსთავი ჩელენჯი“, მაგრამ არც ესაა საკმარისი. დიდი მიღწევაა ის, რომ საქართველო უკვე გამოჩნდა მსოფლიო ავტოსპორტის რუკაზე. როდესაც ქართული ავტოსპორტის განვითარებაზე ვსაუბრობთ, ჩვენთვის მაგალითია ლატვია, რომელიც ნამდვილად არ არის მდიდარი და დიდი ქვეყანა, მაგრამ ლატვიელი ავტო და მოტო მრბოლელები ძალიან სერიოზულ წარმატებებს აღწევენ. ასევე ფინეთი, სადაც 5 მლნ ადამიანი ცხოვრობს და ავტოსპორტის ქვეყანაა. ფინელებს ფორმულა 1-ში სამი ჩემპიონი ჰყავთ. ფინეთამდე, რა თქმა უნდა, ბევრი გვიკლია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. უდიდესი ნაბიჯები გადავდგით და ახლა კარტინგის განვითარებას ვიწყებთ. ავტოსპორტის უმთავრესი საძირკველი სწორედ კარტინგია, რომელმაც ახალი თაობა უნდა მოგვცეს. კარტინგში ჩატარდება როგორც საქართველოს ჩემპიონატი, ისე რეგიონული პირველობებიც. გარდა ამისა, უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები კარტინგის მსოფლიოში უდიდეს სერიასთან ROTAX-თან და იმედი მაქვს, რომ მალე ROTAX -ის მსოფლიო სერიის რბოლები სწორედ ჩვენს ტრეკზე. 2018 წელს რუსთავის ავტოდრომმა განაახლა თავის ინფრასტრუქტურული პროექტები და საქართველოს ახალი პროფესიული კარტინგის ტრასა შესძინა. ასევე 2019 წლიდან იფუნქციონირება ახალი მსოფლიო სტანდარტების მოტოკროსისა და ოფროუდის ტრასები. სამივე ამ ტრასას შეუძლია მომავალში მსოფლიო დონის ჩემპიონატებს უმასპინძლოს. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა გავითარდეს ავტო-მოტო სპორტი საქართველოში იმ დონეზე რომ მომავალში ქართველმა სპორტსმენებმა ღირსეული მეტოქეობა გაუწიონ მსოფლიოში წამყვან

სპორტსმენებს. ასევე გაკეთდა სპეციალური სამოყვარულო მცირე კარტინგის ტრეკი, სადაც ნებიშისმიერ მსურველს შეუძლია თავის ძალები მოსინჯოს და კარგადაც გაერთოს კარტინგით. მომავალი წლიდან ყველა ეს ტრასები სრული დატვირთვით ამუშავდება და თავის პირველ მოსწავლეებსაც მიიღებს.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის სპეციფიკა და საქმიანობა მეტად ვიწრო სეგმენტს ემსახურება, ამავდროულად ავტოდრომის მშენებლობაც და საქმიანობაც მიმართულია მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სპორტის - ავტოსპორტის განვითარებისა და ხელშეწყობისაკენ. შესაბამისად, თავისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, კომპანია მთელი არსებობის მანძილზე დოტაციურია და ზარალიანობის დაფარვა ხდება დაფუძნებლის პირადი სახსრებიდან. ზარალიანობა განპირობებულია როგორც უზარმაზარი ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ხარჯებით, ასევე მიწისა და ქონების მნიშვნელოვანად დიდი გადასახადებით.

ზარალიანობის დაძლევის მიზნით 2015 წელს განხორციელდა 4 500 000 დოლარის ინვესტიცია კომპანია „საგა იმპექსის“ 100% -ანი წილის შესყიდვით, რაც გამოიწვია იყო ავტოდრომის ზარალიანი საქმიანობის დასაბალანსებლად წმინდა კომერციული საქმიანობიდან მიღებული დივიდენდებით.

ასევე სახელმწიფოს მხარდაჭერით და ქ. რუსთავის საკრებულოს გადაწყვეტილებით 2017 წელს ავტოდრომს მიეცა საშუალება შეემცირებინა ქონების გადასახადი 10-ჯერ მომდევნო 5 წლით ავტო და მოტოსპორტის დარგისთვის მიცემული შეღავათით (დაახლ. 350 000 ლარიდან 35 000 ლარამდე), რამაც მოგვცა საშუალება 2017 წელს აგვეგო ახალი კარტინგის ტრასა, რომლის საერთო ღირებულება სრული ინფრასტრუქტურით 2,5 მლნ ლარი შეადგინა, დავასაქმეთ 200-ზე მეტი ადამიანი მშენებლობაზე და საბოლოო ჯამში მივიღეთ უახლესი მსოფლიო სტანდარტის კარტინგის ტრეკი, რაც აუცილებელია ავტოსპორტის განვითარებისათვის. ამ პროექტით ჩვენ ვიმედოვნებთ მომავალ 5 წელიწადში ავღზარდოთ ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლიც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე გაუთქვამენ სახელს.

2017 წელს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომმა უმასპინძლა ერთ-ერთ მსოფლიო დონის შეჯიბრს TCR, რომლის დროსაც განხორციელდა ტრასის, ბოქსების და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების განახლება და რეკონსტრუქცია (დაახლ 0,3 მლნ ღირებულების). დონისძიებაზე მონაწილეობას იღებდა 16 ქვეყნის გუნდი, ესწრებოდა 10 000-მდე მაყურებელი 1000-ზე მეტი უცხოელი სტუმარი. ეს პროექტიც სახელმწიფოს მხარდაჭერით განხორციელდა და საშუალება მოგვცა საერთაშორისო მედიისა და მსოფლიო ავტოსპორტის ყურადღება მიგვეპყრო რუსთავის ავტოდრომისაკენ, რამაც დამატებითი შემოსავლები მოუტანა როგორც ავტოდრომს, ასევე მთელს ქვეყანას.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი და საამაყო პროექტია სარბოლო ბოლიდის - ფორმულა 3 -ის წარმოება. პროექტი წამოწყებულია 2015 წელს და მასზე მუშაობა დღესაც გრძელდება. პირველად საქართველოში საქართველოს სახელით მოხერხდა სპორტული ავტომობილის წარმოება, რომლის საერთო ღირებულებამ დაახლოებით 1,5 მლნ ლარი შეადგინა. სარბოლო ავტომობილი დაპროექტებულია ქართველი, რუსი და გერმანელი ავტოინჟინერების მიერ და მისი წარმოება სწორედ რუსთავის ავტოდრომზე მოხდა. სპორტულმა ბოლიდმა გაიარა ტესტირება და საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) ომლოგაციაც მიიღო, რაც რბოლებზე დაშვებას ნიშნავს. ეს არის უდიდესი წარმატება და ვიმედოვნებთ, რომ 2020 წლისათვის მოხერხდება ფორმულა 3-ის სერიული წარმოებაც.

ჩვენი ყველაზე პრესტიჟული პროექტია ევროპული და მსოფლიო სერიის - Lamborghini Supertrofeo-ზე საქართველოს გუნდის მონაწილეობა; აღსანიშნავია რომ საქართველოს დროშა არაერთგზის აფრიალდა მსოფლიოს უამრავ ავტოდრომზე: ქართული გუნდი „არტლან ჯორჯია“ გახდა 2015 წლის ევროპის ჩემპიონი, 2016 წლის მეორე ადგილი მფლობელი და 2017 წლის მესამე ადგილის პრიზიორი. ამ პროექტის ღირებულება შეადგენს დაახლ. 1,2 მლნ ლარს წელიწადში.

საერთო ჯამში 2012-2018 წლებში რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე განხორციელებულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა 45 მლნ ლარს გადააჭარბა.

თანამშრომლების რაოდენობა და სტრუქტურა

ავტოდრომი სტაბილურად ასაქმებს თვეში 60-მდე ადამიანს, რომელთაც საშუალო ხელფასი 1000 ლარია, ხოლო ადგილობრივი დონის ღონისძიებების გამართვის დროს დასაქმებულთა რაოდენობა 200 კაცამდეა. როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება ადგილობრივ მაცხოვრებლებს. ჩვენი სამსაჯო კორპუსი (70-100 კაცამდე) მთლიანად დაკომპლექტებულია რუსთაველი 20 წლამდე ახალგაზრდებით. საერთაშორისო დონის ღონისძიებებზე დასაქმებულთა რაოდენობა 500-დან 1500 კაცამდეა. მუდმივ შტატში მყოფი თანამშრომლები უზრუნველყოფენ კომპანიის გამართულ ფუნქციონირებას და ინფრასტრუქტურის მოვლას, ხოლო ღონისძიებებზე დროებით დასაქმებულთა თანამდებობები განისაზღვრება შემდეგნაირად: სამსაჯო კორპუსი (სპორტული რეგლამენტის შესაბამისად), ტექნიკური დახმარების ჯგუფები, დაცვის მომსახურება, სასწრაფოსა და სახანძროს მომსახურება, სარესტორნო და კვების ობიექტებზე მომსახურე პერსონალი, წამყვანები, მუსიკალური გაფორმება, პრომო აგენტები, სპორტული ჟურნალისტები და გადამღები ჯგუფები, მექანიკოსების მომსახურება, ტრეკების ინსპექტირება და სხვა. საერთო ჯამში 0,7 მლნ ლარზე მეტი წელიწადში მხოლოდ ფიზიკური პირების ანაზღაურებაზე მოდის.

რისკების მიმოხილვა

ვინაიდან ავტოსპორტი საქართველოში მეტად სუსტადაა განვითარებული, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის საქმიანობა არ არის მომგებიანი, ორგანიზაცია დამოკიდებულია შვილობილი კომპანიისგან მიღებულ დივიდენდებზე და დამფუძნებლისგან აღებულ სესხებზე. სამუხაროდ, დღეისათვის შვილობილი კომპანიები ვერ უზრუნველყოფენ მომგებიან საქმიანობას იმდენად, რომ ავტოდრომის დაფინანსებით ჩანაცვლდეს დამფუძნებლის შენატანები. შესაბამისად, მთავარი რისკი, რაც კომპანიის ფუნქციონირებას შეუშლის ხელს - არის დამფუძნებლის მიერ დაფინანსების შეწყვეტა.

მნიშვნელოვანი გარე რისკ-ფაქტორებია: ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, ან პოლიტიკურ კრიზისები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს პოტენციური მომხმარებელთა რაოდენობა.

ეკონომიკური კრიზისი აიძულებს ადგილობრივ კომპანიებს მაქსიმალურად შეამცირონ თავისი მონაწილეობა/სპონსორობა სპორტში ჩართული გუნდებისათვის. ამის მაგალითია 2015-2018 წლების შედარებითი ანალიზი, როდესაც მსხვილი კომპანიები გაეთიშნენ ავტოსპორტს უსახსრობის გამო და თუ 2015-2016 წლებში ფინანსდებოდნენ სპორტული გუნდები ნავთობკომპანიების ან საბანკო სექტორის მხარდაჭერით, 2017 და 2018 წელს სპონსორი კომპანიების რაოდენობა წინა პერიოდთან შედარებით ნახევარზე ნაკლებია, რაც აიძულებს სპორტსმენებს და სპორტულ გუნდებს ჩამოშორდნენ ავტოსპორტს. ასევე ეკონომიკური კრიზისი (მაგალითად სავალუტო კრიზისი) უარყოფითად აისახება

ל
מחלקת
ח

ქართველ მომხმარებლებზე, რომელთაც სურთ ისარგებლონ ავტოდრომის სერვისებით, მაგრამ კრიზისის გამო ხელმისაწვდომობა იკლებს.

ჩვენი მომხმარებლების ნახევარზე მეტი უცხოელები არიან და ნებისმიერი პოლიტიკური რყევა მომენტალურად გრძელვადიან შეფერხებებს იწვევს. თუმცა, საბედნიეროდ საქართველო, მიუხედავად ოკუპაციისა, სტაბილურ და უსაფრთხო ქვეყნად მიიჩნევა, რაზეც მეტყველებს ტურიზმის განვითარების მეტად მზარდი ტენდენციები.

პ.ს. დაბოლოს, ჩვენი ღრმა რწმენით, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის ამბიციური და მეტად წინასწარი გეგმები აუცილებლად განხორციელდება: გაწეული ინვესტიციები და შრომა თავის ნაყოფს გამოიღებს, ავტოსპორტის პოპულარიზაციის ზრდასთან ერთად გაიზრდება მასში ჩართული ადამიანების რაოდენობა, გაძლიერდებიან შვილობილი კომპანიები და კომერციულად მომგებიან საწარმოებად გადაიქცევიან, ასევე სახელმწიფოს მხრიდან სპორტის მხარდაჭერით აუცილებლად მიიღწევა დასახული მიზნები.

პატივისცემით,
ლელა კალანდია
რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის დირექტორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის.

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.....	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	5
ანგარიშგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....	11
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	12
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება- არაპირდაპირი მეთოდი.....	13
საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	14
ინფორმაცია მმართველობით ანგარიშგებაზე.....	15
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები.....	16

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის“ და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ☐ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ☐ ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- ☐ წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ☐ ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;



Consulting and Audit Company

შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

Financial Solutions
Group LLC
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

- ☐ ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- ☐ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ☐ ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- ☐ თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2018 წლის 30 ოქტომბერს.
მენეჯმენტის სახელით:

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
ლელა კალანდია
30 ოქტომბერი, 2018
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
გიორგი უშვერიძე
30 ოქტომბერი, 2018
თბილისი, საქართველო



Consulting and Audit Company

შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

Financial Solutions
Group LLC
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის“ („ჯგუფის“) დამფუძნებლებს და მენეჯმენტს:

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის და მისი შვილობილი კომპანიების თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენი დასკვნის „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის“ ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დაგვიქირავეს „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვით.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2016 წლის 1 იანვრისთვის ჩართულია გუდვილი საბალანსო ღირებულებით 7 095 247 ლარი, ეს თანხა წარმოადგენს შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის მიერ 2015 წელს შპს „საგა იმპექსის“ 100% წილის შეძენისას წარმოშობილი გუდვილის ღირებულებას.

შპს „საგა იმპექსის“ შეძენით წარმოშობილი გუდვილი დათვლილი იყო როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის წლის ბოლოს, შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის აღრიცხვის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. სტანდარტები მოითხოვს რომ გუდვილის ღირებულება განსაზღვრული იყოს როგორც სხვაობა შეძენის მომენტში გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და ობიექტური მტკიცებულებები შპს „საგა იმპექსის“ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე შეძენის მომენტისთვის. შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირების გაკეთება აღიარებულ გუდვილთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების



Consulting and Audit Company

შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

Financial Solutions
Group LLC
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფში შემავალ შვილობილ კომპანიას არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ეს მარაგები ზემოთ მოცემული თარიღებისთვის ასახულია 12,204,509 ლარის და 13,385,329 ლარის ღირებულებით. ჯგუფის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურით ვერ მოხერხდა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღში მარაგების რაოდენობრივ სისწორესა და მდგომარეობაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები ჯგუფის დებიტორების ნაწილისგან და ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნულ დებიტორულ დავალიანებებზე. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაუდასტურებელი დებიტორული დავალიანებების ჯამურმა ღირებულებამ 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 1,323,987 ლარი, 2,169,671 ლარი და 1,101,928 ლარი. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხული ან აღურიცხავი დებიტორული დავალიანებების ნაშთებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები ჯგუფის კრედიტორებისგან და ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნულ კრედიტორულ დავალიანებებზე. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაუდასტურებელი კრედიტორული დავალიანებების ჯამურმა ღირებულებამ 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 4,152,718 ლარი და 4,581,444. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხული, ან აღურიცხავი კრედიტორული დავალიანებების ნაშთებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების, კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები ჯგუფის მიერ კონსიგნაციით რეალიზებული მარაგების შესახებ და ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნული რეალიზაციის მოცულობასთან დაკავშირებით. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის



შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

Financial Solutions
Group LLC
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

Consulting and Audit Company

ანგარიშგებაში დაუდასტურებელი კონსიგნაციით რეალიზებული მარაგების ჯამურმა თვითღირებულებამ 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 1,754,885 ლარი, 473,230 ლარი და 896,013 ლარი. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხული, ან აღურიცხავი კრედიტორული დავალიანებების ნაშთებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ მიღებული 3,202,357 ლარის რეტრობონუსის მოცულობის და კლასიფიკაციის სისწორის შესახებ. ჯგუფმა ვერ მოგვაწოდა აღნიშნული რეტრობონუსების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მიღებულ ან მიუღებელ რეტრობონუსებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება უმაღლესი მენეჯმენტის ხელფასის დასადასტურებლად. შედეგად, 2017 და 2016 წლებისთვის ვერ დავადასტურეთ უმაღლესი მენეჯმენტის ხელფასის, შესაბამისად 790,667 ლარის და 789,345 ლარის სისრულე, არსებობა და არითმეტიკული სიზუსტე.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი ინფორმაციის მოპოვება რათა დავრწმუნებულიყავით კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების სისწორეში, შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირების გაკეთება ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებათან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს



შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

Financial Solutions
Group LLC
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

Consulting and Audit Company

თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ორგანიზაციის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ორგანიზაციის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

მნიშვნელოვანი გარემოებები

გვინდა ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებას: „ჯგუფი“, კერძოდ მშობელი კომპანია დამფუძნებლისგან იღებდა უპროცენტო სესხებს. თუმცა აუდიტის პროცესში მოხდა კორექტირება და ეს თანხები გადავიდა კაპიტალის ანგარიშზე. აგრეთვე ჩვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ იმაზე რომ ჯგუფს დიდი მოცულობის დაგროვილი ზარალი, რაც სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებდნენ საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და ასევე აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ☐ ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და



Consulting and Audit Company

შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

Financial Solutions
Group LLC
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ორგანიზაციის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს „ორგანიზაციის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ორგანიზაცია“ შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპებით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა



Consulting and Audit Company

შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი
ალ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

Financial Solutions
Group LLC
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერ მნიშვნელოვანი ხარვეზების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნისათვის“ ჩატარებულ აუდიტზე, არის დავით ლომსაძე:



შპს ფინანსური გადაწყვეტილებების ჯგუფი

ალ. ყაზბეგის # 24გ

30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
ანგარიშგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


	შენიშვნა	კონსოლიდირებული ლი 31.12.2017	კონსოლიდირებული ლი 31.12.2016	კონსოლიდირებული ლი 01.01.2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	35,939,891	28,571,908	28,610,337
არამატერიალური აქტივები		63,766	69,245	53,667
გუდვილი	6	7,095,247	7,095,247	7,095,247
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		-	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		43,098,904	35,736,400	35,759,251
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	7	15,559,253	13,690,003	14,962,708
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	7,732,227	8,100,145	5,180,426
გაცემული სესხები	9	70,397	159,750	799,302
საგადასახადო აქტივი	10	-	-	161,463
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	549,033	1,072,682	1,211,592
სულ მიმდინარე აქტივები		23,910,908	23,022,581	22,315,491
სულ აქტივები		67,009,812	58,758,981	58,074,741
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		46,754,319	40,680,373	38,475,667
გაუნაწილებელი მოგება	-	29,139,099	22,103,123	17,624,771
აფასების რეზერვი	12	13,980,621	9,729,573	9,729,573
არამაკონტროლებელი წილი		67,555	183,936	-
სულ კაპიტალი		31,663,396	28,490,759	30,580,469
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	13	16,874,852	11,784,751	14,045,810
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		-	-	29,349
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		16,874,852	11,784,751	14,075,159
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი		3,218,448	9,908,548	4,119,315
მიღებული ავანსები		-	-	11
საგადასახადო ვალდებულებები		825,320	931,369	252,393
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	14,427,797	7,643,554	9,047,416
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,471,564	18,483,471	13,419,113
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		67,009,812	58,758,981	58,074,741

დირექტორი
ლელა კალანდია
30 ოქტომბერი, 2018
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
გიორგი უშვერიძე
30 ოქტომბერი, 2018
თბილისი, საქართველო

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანაგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		კონსოლიდირებული 2017	კონსოლიდირებული 2016
შემოსავალი		42,743,831	41,918,586
რეალიზაციის თვითღირებულება		(32,509,940)	(29,674,932)
საერთო მოგება		10,233,891	12,243,654
irrational expense		-	-
საოპერაციო ხარჯები		(353,624)	(188,362)
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	15	(9,505,919)	(9,616,722)
გაყიდვის დანახარჯები		(3,050,575)	(3,685,606)
სხვა შემოსავალი/ხარჯი ნეტო		(873,077)	1,146,281
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(3,549,305)	(100,756)
ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(2,001,441)	(2,964,998)
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(1,449,152)	(1,381,055)
დივიდენდები		-	-
ome tax		(6,999,897)	(4,446,810)
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		(51,871)	(33,610)
მთლიანი სრული ზარალი		(7,051,768)	(4,480,420)
სხვა სრული შემოსავალი	16	4,251,048	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		(2,800,720)	(4,480,420)
საანგარიშგებო წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი რომელიც ეკუთვნის:			
მფლობელებს		(2,784,927)	(4,478,352)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		(15,793)	(2,068)



დირექტორი
 ლელა კალანდია
 30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო



ბუღალტერი
 გიორგი უმშვერიძე
 30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება-არაპირდაპირი მეთოდი 2017

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2016 კონსოლიდირებულ ო	2017 კონსოლიდირებულ ო
ზარალი	(4,446,810)	(6,999,897)
კორექტირებები:	-	-
მოგების გადასახადი	-	(2,500)
საპროცენტო შემოსავალი	(340,843)	(17,131)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან შემოსავალი	(7,844)	-
საპროცენტო ხარჯები	1,721,899	1,452,371
არარეზიდენტის დარიცხული საპროცენტო ხარჯები	171,021	180,051
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი/(მოგება)	2,761,871	1,932,264
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	18,154	535,801
ცვეთა და ამორტიზაცია	1,161,181	1,307,219
გარანტიის ხარჯი	-	235,181
საექვო მოთხოვნების ანარიცხის	800,629	244,457
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	1,839,258	(1,132,185)
ცვლილებები მოკლევადიანი მოთხოვნებში	(4,622,254)	60,270
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	1,272,705	(2,104,430)
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(2,040,074)	6,207,578
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(51,871)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	790,322	(151,484)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,760,043)	2,827,878
ძირითადი საშუალებების მიღება	(1,195,122)	(4,930,797)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან შემოსავალი	7,844	-
გაცემული სესხი	2,359,687	18,444
მიღებული პროცენტი	146,734	519
არამატერიალური აქტივების შეძენა/ ჩამოწერა	(26,779)	(7,249)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	1,292,364	(4,919,083)
სესხის აღება	15,349,663	(1,149,673)
სესხის გადახდა	(15,593,130)	(1,383,869)
კაპიტალის ზრდა	2,204,706	5,728,155
გადახდილი პროცენტი	(297,997)	(1,203,153)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,663,243	1,991,460
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	195,564	(99,745)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,211,592	1,072,682
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(334,474)	(423,904)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,072,682	549,033

დირექტორი

ლელა კალანდია

30 ოქტომბერი, 2018


ბუღალტერი

გიორგი უშვერიძე

30 ოქტომბერი, 2018

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ
1 იანვარი 2016	38,475,667	(17,624,771)	-	20,850,896
ინვესტიციის ზრდა	2,204,706	-	186,004	2,390,710
დივიდენდები			-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(4,478,352)	(2,068)	(4,480,420)
31 დეკემბერი 2016	40,680,373	(22,103,123)	183,936	18,761,186
ინვესტიციის ზრდა	6,073,946	-	(100,588)	5,973,358
დივიდენდები			-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(7,035,975)	(15,793)	(7,051,768)
31 დეკემბერი 2017	46,754,319	(29,139,099)	67,555	17,682,775



დირექტორი
 ლელა კალანდია
 30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო



ბუღალტერი
 გიორგი უშვერიძე
 30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

სხვა ინფორმაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით მმართველობის ანგარიშგება.

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას:


მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის და კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა-დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებში მოცემული საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშგების შემადგენელი ნაწილების მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ჩვენ განვსაზღვრავთ არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მათ არსს.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სრულად შეესაბამება „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნებს და ასევე საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებსა და პრაქტიკას. იგი ადეკვატურად ასახავს კომპანიის მიმდინარე მდგომარეობასა და ასევე მისი განვითარების პერსპექტივებსა და სამომავლო გეგმებს.


მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის“ თანმხლები, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის“ მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAS) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.



დირექტორი
ლელა კალანდია
30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო



ბუღალტერი
გიორგი უშვერიძე
30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

„ჯგუფი“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში შესაბამისად ის მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის გავლენის ქვეშ, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის ნიშნებით. საგადასახადო, იურიდიული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოები განიცდიან რეფორმებს და ხშირ ცვლილებებს რაც დამატებით გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს „ჯგუფის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ. სამომავლოდ შეიძლება ბიზნეს გარემო განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ს/კ 205228877, რეგისტრაციის თარიღი 29/10/2007. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კ/მ, მიმდებარე ტერიტორია. კომპანიის დამფუძნებლები არიან ფ/პ შოთა აფხაზავა (64№3262020, 72 6054690, რუსეთის ფედერაცია) 86.34% და შპს ბათუმის ჩოგბურთის კლუბი (245629146) 13.66%. საკუთრივ შპს ბათუმის ჩოგბურთის კლუბის 99.9% მფლობელია შოთა აფხაზავა, ხოლო 0.1%-ს ფლობს შპს თიჯიემ (ს/კ.245627120). შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“ ფლობს შპს საგა იმპექსის (ს/კ205185235) 100%-იან წილს.

შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია ავტოსპორტთან. კომპანიის ტერიტორიაზე განთავსებულია ავტო, მოტო და კარტინგის ტრასები რომლებზეც ტარდება როგორც ოფიციალური ისე არაოფიციალური შეჯიბრებები. აგრეთვე კომპანია იჯარით გასცემს მის მფლობელობაში არსებულ სპორტულ ინვენტარს (სპორტული ავტომობილები, მოტოციკლები), აქვს ექსტრემალური მართვის შემსწავლელი კურსები. აქვს მოძრავი და უძრავი ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლებიც.

შვილობილი კომპანია: შპს „საგა იმპექსი“ (ს/კ205185235)

კომპანია კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს სთავაზობს გათბობის, გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემების მრავალფეროვან არჩევანსა და მომსახურებას. კომპანიის სეგმენტი მოიცავს როგორც სამომხმარებლო და კორპორატიულ, ისე ინდუსტრიულ მიმართულებებს.

შპს საგა იმპექსს ჰყავს ორი შვილობილი: შპს ლიჯისტიკსერვისი და შპს საგა დეველოპმენტი, რომლებშიც შესაბამისად ფლობს 100% და 75% წილებს. შპს საგა

დეველოპმენტის უმცირესობის 25%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი - ზურაბ დუმბაძე.

შპს ლოჯისტიკის სერვისის დაფუძნდა 2015 წლის 13 აგვისტოს და მომხმარებელს სთავაზობს ლოჯისტიკურ სერვისს ხოლო, შპს საგა დეველოპმენტი დაფუძნდა 2016 წლის 19 დეკემბერს და საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა.

კომპანია წარმოადგენს ზემოთ მოცემული საწარმოების მშობელ კომპანიას, რომლებიც ერთად იწოდებიან, როგორც „ჯგუფი“.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

„ჯგუფის“ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს („ბასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

შეფასების საფუძველი

მოცემული კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით გარდა ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისა (ფიქსირებული აქტივები) რომელებიც წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის „ჯგუფის“ ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ის ყველაზე საუკეთესოდ ასახავს „ჯგუფის“ ოპერაციებსა და სამოქმედო გარემოში მომხდარ ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისთვის „ჯგუფის“ ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ა) 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში პირველად მყოფ არცერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას და შესწორებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა „ჯგუფის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები ინტერპრეტაციები და შესწორებები რომელიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

2016 წლის პირველი იანვრის შემდგომ დაწყებული პერიოდებისათვის ძალაში მყოფი და ადრე მიღებული არცერთი ახალი სტანდარტი, ინტერპრეტაცია და შესწორება არ მოახდენს არსებით გავლენას „ჯგუფის“ მომავალი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ❖ ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ❖ ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები
- ❖ ფასს 16 - იჯარა

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში რომელიც მეწარმე სუბიექტებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის ერთიან და სრულ მოდელს სთავაზობს. ფასს 15 წარმოადგენს შემოსავლის ასაღიარებლად ერთგვარ სისტემურ მიდგომას. ის ანაცვლებს ასს 11-ის სამშენებლო კონტრაქტებს და ასს 18-ის შემოსავალს და ოთხ ინტერპრეტაციას. ეს სტანდარტები დაფუძნებული იყო პრინციპებზე, მაგრამ საკმარისი ეფექტური გამოყენების სახელმძღვანელო არ გააჩნდათ. ზოგი სექტორი ცვლილებებს არ შეიტანს, თუმცა ყველა მათგანისთვის საჭირო იქნება მრავალმნიშვნელოვნად გაძლიერებული სიცხადისა და პრეზენტაციაში ცვლილებების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ფასს 15 მოდელი სისტემატურია და უზრუნველყოფს ფართო გამოყენების სახელმძღვანელოს. იგი მოიცავს ხუთ ეტაპს:

1. მომხმარებელთან მოქმედი ხელშეკრულების იდენტიფიცირება.
2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრული ცალკეული შესრულების ვალდებულებები - ესენია ბუღალტრული აღრიცხვის ერთეულები.
3. იმ გარიგების ფასის განსაზღვრა, რომლის ოდენობაც განიხილება და რომლის მიხედვითაც გამყიდველი ელის უფლებამოსილებას.
4. თითოეული ვალდებულების შესრულებისთვის ტრანზაქციის ფასის გამოყოფა, რომელიც დაფუძნებულია ავტონომიურ გაყიდვაზე.
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც მომხმარებელი საქონლზე ან მომსახურებაზე კონტროლს იძენს

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (2014) თან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, აგრეთვე შემოაქვს ახალი განსაზღვრება „მოსალოდნელი ზარალი“ ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე გვთავაზობს ახალ აღრიცხვას ჰეჯირებაზე.

ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა სეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა „ჯგუფის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 აწესებს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით, მოითხოვს იჯარა აღირიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც აქტივი „გამოყენების უფლებით“ და იჯარის ვალდებულება.

ფასს 16 ასევე:

- ❖ ცვლის იჯარის განმარტებას;
- ❖ აწესებს მოთხოვნებს თუ როგორ აღვრიცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები როგორიცაა არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და ოფციები;
- ❖ ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარებზე და დაბალფასიანი აქტივების იჯარებზე;
- ❖ ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უუკუიჯარის გარიგებებზე;
- ❖ ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17 მიდგომას;
- ❖ გვაცნობა ახსნა განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს.

ფასს 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ჯგუფის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად ყველა წლისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

i. ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. „ჯგუფი“ განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში

„ჯგუფს“ არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში.

„ჯგუფს“ არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების კატეგორიას განეკუთვნებიან, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლის კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯების ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ მისაღები სესხები და მოთხოვნები იზომება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

ჯგუფს არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის ჩამოწერა ხდება თუ:

- ❖ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ❖ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისთვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ❖ კომპანიამ გადასცა (ა) აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ii. ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება ქართული და უცხოური ფინანსური და არაფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხებისგან.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. თუ არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

iii. გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაფაროს ვალდებულება ერთდროულად.

iv. ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი საიმედო განსაზღვრაც შესაძლებელია. იმისათვის, რომ დაადგინოს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, ჯგუფი ძირითადად ისეთ ფაქტორებს განიხილავს, როგორიცაა მისი ვადაგადაცილების სტატუსი და არსებობის შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის რეალიზაციის პოტენციალი.

გაუფასურების ზარალის გამოთვლა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას იმ ოდენობისას, რაც საკმარისია ზარალის დასაფარად. ანარიცხები იქმნება ინდივიდუალური შეფასებით იმ რისკიანი ფინანსური აქტივებისა ან აქტივთა ჯგუფისთვის, რომელიც არსებითია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო

ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები გარდა ფიქსირებული ძირითადი საშუალებებისა (მიწა, შენობები და ნაგებობები) ბალანსში აღიარებულია ისტორიული თვითღირებულებით რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით თუ ასეთი არსებობს.

ფიქსირებული აქტივები (მიწა, შენობები და ნაგებობები) ბალანსში აღიარებულია გადაფასებული ღირებულებით რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შედეგად დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს გადაფასების დღისათვის არსებული დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასება ტარდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ბოლო შეფასება მოხდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში.

მშენებარე ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მონტაჟის და მწყობრში მოყვანის ხარჯებს აგრეთვე სხვა კაპიტალიზებად ხარჯებს რომელიც „ჯგუფის“ პოლიტიკითაა განსაზღვრული.

მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვით ან ჩამოწერით განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის გამოყენებაში.

მიწის ნაკვეთები	არ იცვითება
შენობა ნაგებობები	30-50 წელი
ელ. მოწყობილობები და სხვა დანადგარები	8-10 წელი
ოფისის ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
სპორტული მანქანები	5-10 წელი

იჯარა

აქტივები, რომლებსაც „ჯგუფი“ ფლობს იჯარის საფუძველზე და რომლითაც მასზე გადადის არსებითად ყველა რისკი და საკუთრების უფლება, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა. სხვა ყველა იჯარა საოპერაციო იჯარაა და შესაბამისად, იჯარის საფუძველზე განხორციელებული გადახდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის პერიოდის განმავლობაში. „ჯგუფს“ არ აქვს ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდეგ ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მისაწოდებლად. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც ობიექტური მოსაზრებაა რომ „ჯგუფი“ ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

„ჯგუფის“ კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება დამფუძნებლების მიერ.

გუდვილი აღიარებასთან დაკავშირებით იხილეთ მოსაზრებაზე უარის გამოთქმის საფუძველი.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობა/ნაგებობების გადაფასებისგან მიღებულ მოგებას/ზარალს.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც „ჯგუფი“ მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლი შეფასდეს საიმედოდ და გრეთვე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა:

- ❖ შემოსავალი საიმედოდ შეიძლება დაითვალოს.

- ❖ როდესაც შესაძლოა რომ დასრულების ეტაპისთვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს;
- ❖ ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ❖ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური მდგომარეობაში წარმოდგენილი მუხლები შეფასებულია იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით რომელშიც ოპერირებს „ჯგუფი“ - ქართულ ლარში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

ოფიციალური გაცვლითი კურსები 2017, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარი/ევრო	100 რუბლი
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.794
გაცვლითი კურსი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	2.3949	2.6169

4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში №24

დაკავშირებული მხარეების წარდგენა. თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, პოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	-	219,310	352,000
გაცემული სესხები	უმაღლესი რანგის	-	69,576	789,802
მიღებული სესხები				
მისაღები პროცენტები				
გადასახდელი პროცენტები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	48,604	-	-

5. ძირითადი საშუალებები

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	ელ. მოწყობილობები და სხვა დანადგარები	ოფისის ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2016 წლის 1 იანვრისთვის	10,360,896	16,445,559	460,338	782,668	28,049,462
ზრდა	189,250	27,651	7,764	409,859	634,524
შემცირება	0	0	0	0	0
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	10,550,146	16,473,210	468,103	1,192,527	28,683,986
ზრდა	189,250	1,741,685	35,717	412,665	2,379,316
შემცირება	-	-	-	(361,778)	-361,778
გადაფასება	3,115,572	606,027	0	0	3,721,599
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	13,854,968	18,820,922	503,819	1,243,414	34,423,124

დაგროვილი ცვთა	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობების ცვთა	ელექტრომოწყობილობების და სხვა დანადგარების ცვთა	ოფისის ავეჯის და სხვა ინვენტარის ცვთა	სულ
2016 წლის 1 იანვრისთვის	-	(587,341)	(112,218)	(212,400)	-911,960
წლის ცვთის ხარჯი	-	(588,033)	(115,158)	(139,823)	(843,014)
შემცირება	-	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(1,175,374)	(227,376)	(352,223)	-1,754,974
წლის ცვთის ხარჯი	-	(637,680)	(121,687)	(206,320)	(965,687)
შემცირება	-	-	-	16,229	16,229
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(1,813,055)	(349,063)	(542,314)	-2,704,432

ნეტო საბალანსო ღირებულება

2016 წლის 1 იანვრისთვის	10,360,896.00	15,858,218.03	348,120.67	570,267.81	27,137,502.51
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	10,550,146.00	15,297,836.14	240,726.55	840,303.90	26,929,012.59
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	13,854,968.00	17,007,867.59	154,755.99	701,100.34	31,718,691.92

გაგრძელება

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	სპორტული მანქანები	შენიშნა აქტივები	სულ
2016 წლის 1 იანვრისთვის	355,550	1,366,031	19,007	1,740,589
ზრდა	374,085	0	119,734	493,819
შემცირება	(21,348)	0	0	-21,348
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	708,288	1,366,031	138,741	2,213,060
ზრდა	271,802	202,239	2,628,982	3,103,023
შემცირება	(177,491)	(11,704)	-	(189,195)
გადაფასება			0	0
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	802,598	1,556,566	2,767,723	0 5,126,888

დაგროვილი ცვეთა	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	სპორტული მანქანების ცვეთა	შენიშნა აქტივები	სულ
2016 წლის 1 იანვრისთვის	-67,234	-200,520	0	-267,754
წლის ცვეთის ზარგი	(65,950)	(239,660)	-	(305,610)
შემცირება	3,199	-	-	3,199
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	-129,985	-440,180	0	0 -570,165
წლის ცვეთის ზარგი	(101,935)	(258,156)	-	(360,091)
შემცირება	18,715	5,852	-	24,567
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-213,205	-692,484	0	0 -905,689

ნეტო საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 1 იანვრისთვის	288,316	1,165,511	19,007	0 1,472,834
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	578,303	925,852	138,741	0 1,642,895
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	589,393	864,083	2,767,723	0 4,221,199

6. გუდვილი

გუდვილი

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ს	2016 წლის 31 დეკემბრისთვის ს	2016 წლის 1 იანვრისთვის ს
7,095,247	7,095,247	7,095,247

გუდვილის შესახებ დაწვრილებით აღწერილია მოსზრებაზე უარის თქმის საფუძველში. ჯგუფს გუდვილის წარმოქმნის შემდეგ არ ჩაუტარებია ტესტი გაუფასურებაზე.

7. მარაგები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 1 იანვარი
გათბობის სისტემები	7,962,031	6,476,251	8,677,508
გაგრილების სისტემები	2,400,272	1,965,726	1,374,690
სათადარიგო ნაწილები	2,543,174	1,741,992	1,333,344
სხვა	1,436,481	2,020,540	1,999,787
საქონელი	1,139,712	1,197,084	1,285,251
ნედლეული და მასალები	75,281	45,716	43,983
პრიზები	2,302	2,360	2,367
ფორმულის წარმოების ნაწილები	0	240,334	245,777
სულ მარაგები	15,559,253	13,690,003	14,962,708

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილი კომპანიის „საგა იმპექსის“ ყველა მარაგი დატვირთულია გირაოთი სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენების უფლებით თიბისი ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 1 იანვარი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	8,059,743	7,269,618	3,988,450
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(1,082,957)	(832,395)	(44,891)
სულ ფინანსური აქტივები	6,976,785	6,437,223	3,943,559
არაფინანსური აქტივები			
გაცემული ავანსები	694,663	1,507,244	1,051,200
სხვა არაფინანსური აქტივები	198,557	176,667	193,530
გადახდილი ავანსების რეზერვი	(137,778)	(20,989)	(7,864)
სულ არაფინანსური აქტივები	755,442	1,662,922	1,236,866
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,732,227	8,100,145	5,180,426

9. გაცემული სესხები

	2017 წლის 31 დეკემბრისთვი ს	2016 წლის 31 დეკემბრისთვი ს	2016 წლის 1 იანვრისთვის
გაცემული სესხები	70,397	159,750	799,302
სულ გაცემული სესხები	0	159,750	799,302

10. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს ქონების გადასახადის წინასწარ გადახდილ ხარჯს.

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017 წლის 31 დეკემბრისთვი ს	2016 წლის 31 დეკემბრისთვი ს	2016 წლის 1 იანვრისთვის
ფული და ფულის ექვივალენტები	549,033	1,072,682	1,211,592
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	549,033	1,072,682	1,211,592

12. აფასების რეზერვი

აფასების რეზერვი მოიცავს ფიქსირებული აქტივების (მიწა და შენობა ნაგებობები) გადაფასებიდან მიღებულ შემოსავალს. 2016 წლის 1 იანვრისთვის აფასების რეზერვი შეადგენდა 9 729 573 ლარს. ბოლო გადაფასება მოხდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აფასების რეზერვმა შეადგინა 13 980 621 ლარი.

13. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	2016 წლის 1 იანვარი			
				მიმდინარე		გრძელვადიანი	
				პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
ბათუმის ჩოგბურთის კლუბი		ლარი				71,336	74,926
ვითიბი ბანკი		დოლარი				19,198	6,106,995
ვითიბი ბანკი		დოლარი				7,528	2,394,900
TEXOL WORLD WIDE	18%	დოლარი				1,205,578	951,935
ბანკი რესპუბლიკა 1	15%	ლარი	30-Jul-16	16,344	2,456,734		
ბანკი რესპუბლიკა 2	9%	დოლარი	30-Jul-18	9,014	0		2,245,954
ბანკი რესპუბლიკა 3	9%	დოლარი	30-Jul-16	10,368	2,592,067		
სულ სესხები				35,726	5,048,801	1,303,640	11,774,710

გაგრძელება

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	2016 წლის 31 დეკემბერი			
				მიმდინარე		გრძელვადიანი	
				პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
ბათუმის ჩოგბურთის კლუბი		ლარი				86,321.33	74,926.
რიმ ადვენჩერს	8.0%	ევრო				0.00	0.
რიმ ადვენჩერს	8%	ლარი				0.00	0.
ვითიბი ბანკი	10%	დოლარი	15-Mar-23			11,946.80	2,451,028.
ვითიბი ბანკი	10%	დოლარი	26-Jul-21			19,412.11	3,353,814.
TEXOL WORLD WIDE	18%	დოლარი				1,522,273.51	1,052,061.
ბანკი რესპუბლიკა 1	5%	ევრო	29-Jun-17	859.88	6,879,045.93	0.00	0.
ბანკი რესპუბლიკა 2	5%	ევრო	3-May-17	173.23	1,385,888.26	0.00	0.
ბანკი რესპუბლიკა 3	5%	ევრო	29-Jun-23	6,910.62	0.00	0.00	4,523,316.
თიბისი ლიზინგი				0.00	0.00	0.00	329,603.
სულ სესხები				7,943.73	8,264,934.19	1,639,953.75	11,784,750.

გაგრძელება

				2017 წლის 31 დეკემბერი			
				მიმდინარე		გრძელვადიანი	
	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა			პროცენტი	ბირი
ბათუმის ჩოგბურთის კლუბი		ლარი				101,307	74,926
რიმ ადვენჩერს	8.0%	ევრო				-	46,566
რიმ ადვენჩერს	8.0%	ლარი				-	100,000
ვითიბი ბანკი	9.5%	დოლარი	15-Mar-23			3,308	2,118,018
ვითიბი ბანკი	9.5%	დოლარი	26-Jul-21			4,478	2,867,524
TEXOL WORLD WIDE	18%	დოლარი	15-Sep-18			1,676,336	1,030,359
თიბისი ბანკი 1	7.5%	ევრო	25-Jan-19	208	403,572	-	-
	3.75% + რეფინანსირებ						
თიბისი ბანკი 2	ის განაკვეთი *	ლარი	5-Jul-24	7,025	-	-	3,816,350
	4.5% + რეფინანსირებ						
თიბისი ბანკი 3	ის განაკვეთი *	ლარი	5-Jul-24	9,870	570,406	-	4,539,594
	6.54% +						
თიბისი ბანკი 4	ლიბორი **	დოლარი	25-Oct-19	11,733	293,282	-	2,244,172
თიბისი ლიზინგი		დოლარი		-	194,745	-	37,242
სულ სესხები				28,836.00	1,462,005.00	1,785,428.59	16,874,750.60

14.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2016 წლის 1 იანვრისთვის
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	12,706,342	6,563,495	6,286,326
სულ ფინანსური ვალდე	12,706,342	6,563,495	6,286,326
არაფინანსური ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	681,362	285,694	1,953,651
გარანტიით უზრუნველყო	1,040,094	794,365	807,440
სულ არაფინანსური ვალ	1,721,456	1,080,059	2,761,091
სულ სავაჭრო და სხვა ვა	14,427,797	7,643,554	9,047,416

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2017	31.12.2016
შრომის ანაზღაურება	5,031,375.37	4,998,669.18
იჯარის ხარჯი	444,643.00	583,174.00
გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯი	244,457.00	800,628.00
მივლინების ხარჯი	226,601.51	286,716.51
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	188,791.00	100,328.00
ცვეთა და ამორტიზაცია	1,290,799.15	1,161,181.47
ბანკის საკომისიო ხარჯი	168,339.74	329,735.05
კომუნალური გადასახადი	133,110.73	107,016.39
რემონტის ხარჯი	147,697.05	106,188.70
ფილიალის რემონტის ხარჯი	94,766.00	82,786.00
კომუნიკაციის ხარჯები	100,758.15	69,217.25
წარმომადგენლობითი ხარჯი	147,997.27	124,669.15
დაცვის ხარჯი	54,897.00	45,844.00
დაზღვევის ხარჯი	36,928.54	65,742.24
ოფისის ხარჯი	35,824.67	47,268.28
საგადასახადო ხარჯი (ქონების გადასახადის ხარჯი)	457,392.59	358,437.95
უიმედო ვალეების რეზერვის ხარჯი	292,641.11	-
სხვა	408,898.98	349,120.32
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9,505,918.85	9,616,722.49

16. სხვა სრული შემოსავალი

სხვა სრულ შემოსავალში ასახულია 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ფიქსირებული აქტივების შედეგად აფასების რეზერვის ზრდა 4 251 048 ლარის ოდენობით.

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, „ჯგუფი“ დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს „ჯგუფის“ მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული

აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 1 იანვარი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	7,263,660	6,434,368	3,943,559
გაცემული სესხები	70,397	159,750	799,302
ფული და ფულის ეკვივალენტები	549,033	1,072,682	1,211,592
მთლიანი ფინანსური აქტივები	7,883,089	7,666,801	5,954,454
სავაჭრო ვალდებულებები	12,706,342	6,563,495	6,286,326
მიღებული სესხები	18,365,592	20,057,629	19,130,337
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	31,071,933	26,621,124	25,416,663

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს ჯგუფისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ჯგუფს შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	7,263,660	6,434,368	3,943,559
გაცემული სესხები	70,397	159,750	799,302
ფული და ფულის ეკვივალენტები	549,033	1,072,682	1,211,592
მთლიანი ფინანსური აქტივები	7,883,089	7,666,801	5,954,454

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს ჯგუფის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

	2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2016 წლის 1 იანვრისთვის
არ არის ვადაგადაცილებული	4,726,873	4,219,715	3,534,215
ვადაგადაცილებულია, მაგრამ არ არის გაუფასურებული	2,307,633	2,221,792	409,344
ვადაგადაცილებულია და გაუფასურებულია	1,082,957	832,395	44,891
სულ სავაჭრო მოთხოვნები	8,117,464	7,273,902	3,988,450

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ჯგუფის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება როგორც მფლობელების კაპიტალით ასევე ბანკის სესხით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2017 სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,287,283	93,058	883,318	-	7,263,660
გაცემული სესხები	66,000	-	4,397	-	70,397
ფული და ფულის ეკვივალენტები	549,033	-	-	-	549,033
მთლიანი ფინანსური აქტივები	6,902,316	93,058	887,715	-	7,883,089
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	9,495,514	1,898,613	1,312,216	-	12,706,342
მიღებული სესხები	549,139	2,048,751	13,603,804	5,495,153	21,696,848
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	10,044,653	3,947,364	14,916,020	5,495,153	34,403,190
ლიკვიდურობის დეფიციტი	(3,142,336)	(3,854,305)	(14,028,306)	(5,495,153)	
ჯამური ლიკვიდურობის დეფიციტი	(3,142,336)	(3,854,305)	(14,028,306)	(5,495,153)	

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2016 სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,953,071	686,299	794,998	-	6,434,368
გაცემული სესხები	-	152,752	6,998	-	159,750
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,072,682	-	-	-	1,072,682
მთლიანი ფინანსური აქტივები	6,025,754	839,051	801,996	-	7,666,801
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	5,027,990	1,535,506	-	-	6,563,496
მიღებული სესხები	7,944	8,264,934	9,333,722	2,451,029	20,057,679
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	5,035,934	9,800,440	9,333,722	2,451,029	26,621,175
ლიკვიდურობის დეფიციტი	989,820	(8,961,389)	(8,531,726)	(2,451,029)	
ჯამური ლიკვიდურობის დეფიციტი	989,820	(8,961,389)	(8,531,726)	(2,451,029)	

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2016 1 იანვარი
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,686,301	-	257,259	-	3,943,559
გაცემული სესხები	-	799,302	-	-	799,302
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,211,592	-	-	-	1,211,592
მთლიანი ფინანსური აქტივები	4,897,893	799,302	257,259	-	5,954,454
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	3,295,630	-	-	-	3,295,630
მიღებული სესხები	35,726	11,155,796	4,517,054	1,026,861	16,735,437
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	3,331,356	11,155,796	4,517,054	1,026,861	20,031,067
ლიკვიდურობის დეფიციტი	1,566,537	(10,356,494)	(4,259,795)	(1,026,861)	
ჯამური ლიკვიდურობის დეფიციტი	1,566,537	(10,356,494)	(4,259,795)	(1,026,861)	

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

❖ საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

„ჯგუფის“ საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები, მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

❖ სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების

განსაზღვრავს. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი	სულ 2017
სავაჭრო მოთხოვნები	6,022,041	142,443	1,099,176	0	7,263,660
გაცემული სესხები	70,397	0	0	0	70,397
ფული და ფულის ექვივალენტები	540,726	3,288	5,289	0	549,303
მთლიანი ფინანსური აქტივები	6,633,163	145,731	1,104,465	0	7,883,359
სავაჭრო ვალდებულებები	406,155	3,113,304	9,181,936	4,947	12,706,342
მიღებული სესხები	9,118,172	8,797,075	450,345	0	18,365,592
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	9,524,326	11,910,379	9,632,281	4,947	31,071,933
ღია საბალანსო პოზიცია	(2,891,163)	(11,764,648)	(8,527,817)	(4,947)	

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი	სულ 2016
სავაჭრო მოთხოვნები	4,580,892	149,244	1,704,231	0	6,434,368
გაცემული სესხები	95,035	0	64,715	0	159,750
ფული და ფულის ექვივალენტები	696,983	113,566	262,493	0	1,073,042
მთლიანი ფინანსური აქტივები	5,372,911	262,810	2,031,439	0	7,667,161
სავაჭრო ვალდებულებები	183,545	2,422,447	3,952,900	4,604	6,563,495
მიღებული სესხები	404,530	6,856,904	12,796,194	0	20,057,629
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	588,075	9,279,351	16,749,094	4,604	26,621,124
ღია საბალანსო პოზიცია	4,784,836	(9,016,541)	(14,717,654)	(4,604)	

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი	სულ 2015
სავაჭრო მოთხოვნები	2,987,224	132,771	823,564	0	3,943,559
გაცემული სესხები	9,500		789,802	0	799,302
ფული და ფულის ექვივალენტები	230,832	430,167	550,593	0	1,211,592
მთლიანი ფინანსური აქტივები	3,227,556	562,938	2,163,960	0	5,954,454
სავაჭრო ვალდებულებები	126,520	2,668,453	3,486,337	5,016	6,286,326
მიღებული სესხები	4,819,104	11,916,333	0	0	16,735,437
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	4,945,624	14,584,786	3,486,337	5,016	23,021,763
ღია საბალანსო პოზიცია	(1,718,069)	(14,021,848)	(1,322,377)	(5,016)	

გაუთვალისწინებელი გარემოებები

❖ სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ შესაძლოა განხორციელდეს სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მაქსიმალური ვალდებულება, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად (თუკი საერთოდ წარმოიშვა), არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

❖ დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში არანაირი ვალდებულებების, ჯარიმების და საურავების დაწესება არ არის შესაძლებელი, თუ ექვს წელზე მეტი იქნება გასული საგადასახადო წლიდან, როდესაც მოხდა დარღვევა.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადექვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების

შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. ჯგუფს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს საკმაო რაოდენობის დაგროვილი ზარალი, ეს ზარალი ძირითადად ეკუთვნის მშობელ კომპანიას თუმცა ბოლო პერიოდში ზარალიანია შვილობილი კომპანიებიც. თუმცა კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ავტოსპორტთან დაკავშირებული საქმიანობა გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი და შემოსავლის ზრდას ელოდება როდესაც დაასრულებს ინფრასტრუქტურის მოწყობას. შვილობილი კომპანიის კუთხით მენეჯმენტი აპირებს შეცვალოს საოპერაციო საქმიანობის პოლიტიკა. 2017 წლიდან რამოდენიმე მსხვილი რეალიზატორის გარდა აღარ ხდება საქონლის კონსიგნაციით რეალიზაცია, ასევე ჯგუფმა უარი თქვა მომწოდებლებისგან წინასწარ მარაგების შესყიდვაზე, შესაბამის რეტრობონუსებზე, ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე ჯგუფის მოლოდინით შემცირდება მოთხოვნების საკრედიტო რისკი და ნასესხებ სახსრებზე კომპანიის მოთხოვნა. მენეჯმენტი არ ფიქრობს რომ კომპანიას უდგას ფუნქციონირების პრობლემა.

პირობითი ვალდებულებები

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას საქმიანობის ჩვეულ პროცესში აქვს სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები. კომპანიას აქვს სასამართლო დავები იმ პირებთან, რომლებმაც დაარღვიეს ნაკისრი ვალდებულებები. ყველაზე მაღალი შედეგი, რაც კომპანიამ შეიძლება მიიღოს ასეთი დავებიდან არის ამ პირებისადმი არსებული მოთხოვნის ნაშთები.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. მენეჯმენტის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ ჯგუფში შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა ჩაატარა შვილობილი კომპანიის შპს „საგა იმპექსის“ საგადასახადო შემოწმება, რომლის შედეგადაც ჯგუფს ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 1,083,690 ლარი, მათ შორის: ძირითადი გადასახადი 709,756 ლარი და ჯარიმა 373,934 ლარი. ჯგუფი თვლის, რომ კანონმდებლობა არ დაურღვევია და აპირებს დავას დამატებით დარიცხულ გადასახადთან დაკავშირებით. ჯგუფი თვლის, რომ დავის მოგების ალბათობა მაღალია და დავის ნაწილობრივ წაგების შემთხვევაშიც, დავა დიდი ხნის მანძილზე გაგრძელდება, ამიტომ დავასთან დაკავშირებით ჯგუფიდან მნიშვნელოვანი სარგებლის გასვლა არ მოხდება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის.

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.....	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	5
ანგარიშგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....	11
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	12
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება- არაპირდაპირი მეთოდი.....	13
საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	14
ინფორმაცია მმართველობით ანგარიშგებაზე.....	15
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები.....	16

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის“ და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ☐ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ☐ ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- ☐ წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ☐ ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;



Consulting and Audit Company

შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

Financial Solutions
Group LLC
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

- ☐ ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- ☐ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ☐ ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- ☐ თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2018 წლის 30 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
ლელა კალანდია
30 ოქტომბერი, 2018
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
გიორგი უშვერიძე
30 ოქტომბერი, 2018
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის“ („ჯგუფის“) დამფუძნებლებს და მენეჯმენტს:

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის და მისი შვილობილი კომპანიების თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენი დასკვნის „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის“ ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დაგვიქირავეს „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვით.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2016 წლის 1 იანვრისთვის ჩართულია გუდვილი საბალანსო ღირებულებით 7 095 247 ლარი, ეს თანხა წარმოადგენს შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის მიერ 2015 წელს შპს „საგა იმპექსის“ 100% წილის შეძენისას წარმოშობილი გუდვილის ღირებულებას.

შპს „საგა იმპექსის“ შეძენით წარმოშობილი გუდვილი დათვლილი იყო როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის წლის ბოლოს, შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის აღრიცხვის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. სტანდარტები მოითხოვს რომ გუდვილის ღირებულება განსაზღვრული იყოს როგორც სხვაობა შეძენის მომენტში გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და ობიექტური მტკიცებულებები შპს „საგა იმპექსის“ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე შეძენის მომენტისთვის. შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირების გაკეთება აღიარებულ გუდვილთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების



Consulting and Audit Company

შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

Financial Solutions
Group LLC
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფში შემავალ შვილობილ კომპანიას არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ეს მარაგები ზემოთ მოცემული თარიღებისთვის ასახულია 12,204,509 ლარის და 13,385,329 ლარის ღირებულებით. ჯგუფის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურით ვერ მოხერხდა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღში მარაგების რაოდენობრივ სისწორესა და მდგომარეობაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები ჯგუფის დებიტორების ნაწილისგან და ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნულ დებიტორულ დავალიანებებზე. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაუდასტურებელი დებიტორული დავალიანებების ჯამურმა ღირებულებამ 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 1,323,987 ლარი, 2,169,671 ლარი და 1,101,928 ლარი. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხული ან აღურიცხავი დებიტორული დავალიანებების ნაშთებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები ჯგუფის კრედიტორებისგან და ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნულ კრედიტორულ დავალიანებებზე. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაუდასტურებელი კრედიტორული დავალიანებების ჯამურმა ღირებულებამ 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 4,152,718 ლარი და 4,581,444. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხული, ან აღურიცხავი კრედიტორული დავალიანებების ნაშთებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების, კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები ჯგუფის მიერ კონსიგნაციით რეალიზებული მარაგების შესახებ და ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნული რეალიზაციის მოცულობასთან დაკავშირებით. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის



Consulting and Audit Company

**შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი**
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

**Financial Solutions
Group LLC**
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

ანგარიშგებაში დაუდასტურებელი კონსიგნაციით რეალიზებული მარაგების ჯამურმა თვითღირებულებამ 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 1,754,885 ლარი, 473,230 ლარი და 896,013 ლარი. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხული, ან აღურიცხავი კრედიტორული დავალიანებების ნაშთებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ მიღებული 3,202,357 ლარის რეტრობონუსის მოცულობის და კლასიფიკაციის სისწორის შესახებ. ჯგუფმა ვერ მოგვაწოდა აღნიშნული რეტრობონუსების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მიღებულ ან მიუღებელ რეტრობონუსებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება უმაღლესი მენეჯმენტის ხელფასის დასადასტურებლად. შედეგად, 2017 და 2016 წლებისთვის ვერ დავადასტურეთ უმაღლესი მენეჯმენტის ხელფასის, შესაბამისად 790,667 ლარის და 789,345 ლარის სისრულე, არსებობა და არითმეტიკული სიზუსტე.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი ინფორმაციის მოპოვება რათა დავრწმუნებულიყავით კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების სისწორეში, შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირების გაკეთება ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებათან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს



Consulting and Audit Company

**შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი**
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

**Financial Solutions
Group LLC**
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ორგანიზაციის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ორგანიზაციის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

მნიშვნელოვანი გარემოებები

გვინდა ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებას: „ჯგუფი“, კერძოდ მშობელი კომპანია დამფუძნებლისგან იღებდა უპროცენტო სესხებს. თუმცა აუდიტის პროცესში მოხდა კორექტირება და ეს თანხები გადავიდა კაპიტალის ანგარიშზე. აგრეთვე ჩვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ იმაზე რომ ჯგუფს დიდი მოცულობის დაგროვილი ზარალი, რაც სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და ასევე აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და



Consulting and Audit Company

შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

Financial Solutions
Group LLC
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ორგანიზაციის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „ორგანიზაციის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ორგანიზაცია“ შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპებით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა



Consulting and Audit Company

შპს ფინანსური
გადაწყვეტილებების ჯგუფი
აღ. ყაზბეგის # 24გ
თბილისი, საქართველო.
ტელ: +995 32 296 39 24.
ელ. ფოსტა: audit@fsgroup.ge
ვებგვერდი: www.fsgroup.ge

Financial Solutions
Group LLC
Al. Kazbegi # 24g
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 296 39 24.
E-mail: audit@fsgroup.ge
Web: www.fsgroup.ge

კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერ მნიშვნელოვანი ხარვეზების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნისათვის“ ჩატარებულ აუდიტზე, არის დავით ლომსაძე:



შპს ფინანსური გადაწყვეტილებების ჯგუფი

აღ. ყაზბეგის # 24გ

30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
 ანგარიშგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	კონსოლიდირებული ლი 31.12.2017	კონსოლიდირებული ლი 31.12.2016	კონსოლიდირებული ლი 01.01.2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	35,939,891	28,571,908	28,610,337
არამატერიალური აქტივები		63,766	69,245	53,667
გუდვილი	6	7,095,247	7,095,247	7,095,247
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		-	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		43,098,904	35,736,400	35,759,251
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	7	15,559,253	13,690,003	14,962,708
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	7,732,227	8,100,145	5,180,426
გაცემული სესხები	9	70,397	159,750	799,302
საგადასახადო აქტივი	10	-	-	161,463
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	549,033	1,072,682	1,211,592
სულ მიმდინარე აქტივები		23,910,908	23,022,581	22,315,491
სულ აქტივები		67,009,812	58,758,981	58,074,741
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		46,754,319	40,680,373	38,475,667
გაუნაწილებელი მოგება	-	29,139,099	22,103,123	17,624,771
აფასების რეზერვი	12	13,980,621	9,729,573	9,729,573
არამაკონტროლებელი წილი		67,555	183,936	-
სულ კაპიტალი		31,663,396	28,490,759	30,580,469
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	13	16,874,852	11,784,751	14,045,810
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		-	-	29,349
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		16,874,852	11,784,751	14,075,159
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი		3,218,448	9,908,548	4,119,315
მიღებული ავანსები		-	-	11
საგადასახადო ვალდებულებები		825,320	931,369	252,393
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	14,427,797	7,643,554	9,047,416
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,471,564	18,483,471	13,419,113
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		67,009,812	58,758,981	58,074,741

დირექტორი
 ლელა კალანდია
 30 ოქტომბერი, 2018
 თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
 გიორგი უშვერიძე
 30 ოქტომბერი, 2018
 თბილისი, საქართველო

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანაგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		კონსოლიდირებული 2017	კონსოლიდირებული 2016
შემოსავალი		42,743,831	41,918,586
რეალიზაციის თვითღირებულება		(32,509,940)	(29,674,932)
საერთო მოგება		10,233,891	12,243,654
საოპერაციო ხარჯები		(353,624)	(188,362)
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	15	(9,505,919)	(9,616,722)
გაყიდვის დანახარჯები		(3,050,575)	(3,685,606)
სხვა შემოსავალი/ხარჯი ნეტო		(873,077)	1,146,281
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(3,549,305)	(100,756)
ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(2,001,441)	(2,964,998)
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(1,449,152)	(1,381,055)
დივიდენდები		-	-
მოგება დაბეგვრამდე		(6,999,897)	(4,446,810)
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		(51,871)	(33,610)
მთლიანი სრული ზარალი		(7,051,768)	(4,480,420)
სხვა სრული შემოსავალი	16	4,251,048	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		(2,800,720)	(4,480,420)
საანგარიშგებო წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი რომელიც ეკუთვნის:			
მფლობელებს		(2,784,927)	(4,478,352)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		(15,793)	(2,068)

დირექტორი
 ლელა კალანდია
 30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
 გიორგი უშვერიძე
 30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება-არაპირდაპირი მეთოდი
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2016 კონსოლიდირებულ ო	2017 კონსოლიდირებულ ო
ზარალი	(4,446,810)	(6,999,897)
კორექტირებები:	-	-
მოგების გადასახადი	-	(2,500)
საპროცენტო შემოსავალი	(340,843)	(17,131)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან შემოსავალი	(7,844)	-
საპროცენტო ხარჯები	1,721,899	1,452,371
არარეზიდენტის დარიცხული საპროცენტო ხარჯები	171,021	180,051
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი/(მოგება)	2,761,871	1,932,264
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	18,154	535,801
ცვეთა და ამორტიზაცია	1,161,181	1,307,219
გარანტიის ხარჯი	-	235,181
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის	800,629	244,457
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	1,839,258	(1,132,185)
ცვლილებები მოკლევადიანი მოთხოვნებში	(4,622,254)	60,270
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	1,272,705	(2,104,430)
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(2,040,074)	6,207,578
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(51,871)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	790,322	(151,484)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,760,043)	2,827,878
ძირითადი საშუალებების მიღება	(1,195,122)	(4,930,797)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან შემოსავალი	7,844	-
გაცემული სესხი	2,359,687	18,444
მიღებული პროცენტი	146,734	519
არამატერიალური აქტივების შეძენა/ ჩამოწერა	(26,779)	(7,249)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	1,292,364	(4,919,083)
სესხის აღება	15,349,663	(1,149,673)
სესხის გადახდა	(15,593,130)	(1,383,869)
კაპიტალის ზრდა	2,204,706	5,728,155
გადახდილი პროცენტი	(297,997)	(1,203,153)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,663,243	1,991,460
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	195,564	(99,745)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,211,592	1,072,682
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(334,474)	(423,904)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,072,682	549,033

დირექტორი
ლელა კალანდია
30 ოქტომბერი, 2018

ბუღალტერი
გიორგი უშვერიძე
30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ
1 იანვარი 2016	38,475,667	(17,624,771)	-	20,850,896
ინვესტიციის ზრდა	2,204,706	-	186,004	2,390,710
დივიდენდები			-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(4,478,352)	(2,068)	(4,480,420)
31 დეკემბერი 2016	40,680,373	(22,103,123)	183,936	18,761,186
ინვესტიციის ზრდა	6,073,946	-	(100,588)	5,973,358
დივიდენდები			-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(7,035,975)	(15,793)	(7,051,768)
31 დეკემბერი 2017	46,754,319	(29,139,099)	67,555	17,682,775

დირექტორი
 ლელა კალანდია
 30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
 გიორგი უშვერიძე
 30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

სხვა ინფორმაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით მმართველობის ანგარიშგება.

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას:

მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის და კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა-დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებში მოცემული საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშგების შემადგენელი ნაწილების მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ჩვენ განვსაზღვრავთ არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მათ არსს.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სრულად შეესაბამება „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნებს და ასევე საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებსა და პრაქტიკას. იგი ადეკვატურად ასახავს კომპანიის მიმდინარე მდგომარეობასა და ასევე მისი განვითარების პერსპექტივებსა და სამომავლო გეგმებს.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის“ თანმხლები, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის“ მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAS) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დირექტორი
ლელა კალანდია
30 ოქტომბერი, 2018

ბუღალტერი
გიორგი უშვერიძე
30 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

„ჯგუფი“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში შესაბამისად ის მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის გავლენის ქვეშ, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის ნიშნებით. საგადასახადო, იურიდიული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოები განიცდიან რეფორმებს და ხშირ ცვლილებებს რაც დამატებით გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს „ჯგუფის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ. სამომავლოდ შეიძლება ბიზნეს გარემო განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ს/კ 205228877, რეგისტრაციის თარიღი 29/10/2007. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კ/მ, მიმდებარე ტერიტორია. კომპანიის დამფუძნებლები არიან ფ/პ შოთა აფხაზავა (64№3262020, 72 6054690, რუსეთის ფედერაცია) 86.34% და შპს ბათუმის ჩოგბურთის კლუბი (245629146) 13.66%. საკუთრივ შპს ბათუმის ჩოგბურთის კლუბის 99.9% მფლობელია შოთა აფხაზავა, ხოლო 0.1%-ს ფლობს შპს თიჯიემ (ს/კ.245627120). შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“ ფლობს შპს საგა იმპექსის (ს/კ205185235) 100%-იან წილს.

შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია ავტოსპორტთან. კომპანიის ტერიტორიაზე განთავსებულია ავტო, მოტო და კარტინგის ტრასები რომლებზეც ტარდება როგორც ოფიციალური ისე არაოფიციალური შეჯიბრებები. აგრეთვე კომპანია იჯარით გასცემს მის მფლობელობაში არსებულ სპორტულ ინვენტარს (სპორტული ავტომობილები, მოტოციკლები), აქვს ექსტრემალური მართვის შემსწავლელი კურსები. აქვს მოძრავი და უძრავი ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლებიც.

შვილობილი კომპანია: შპს „საგა იმპექსი“ (ს/კ205185235)

კომპანია კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს სთავაზობს გათბობის, გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემების მრავალფეროვან არჩევანსა და მომსახურებას. კომპანიის სეგმენტი მოიცავს როგორც სამომხმარებლო და კორპორატიულ, ისე ინდუსტრიულ მიმართულებებს.

შპს საგა იმპექსს ჰყავს ორი შვილობილი: შპს ლიჯისტიკსერვისი და შპს საგა დეველოპმენტი, რომლებშიც შესაბამისად ფლობს 100% და 75% წილებს. შპს საგა

დეველოპმენტის უმცირესობის 25%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი - ზურაბ დუმბაძე.

შპს ლოჯისტიკსერვისი დაფუძნდა 2015 წლის 13 აგვისტოს და მომხმარებელს სთავაზობს ლოჯისტიკურ სერვისს ხოლო, შპს საგა დეველოპმენტი დაფუძნდა 2016 წლის 19 დეკემბერს და საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა.

კომპანია წარმოადგენს ზემოთ მოცემული საწარმოების მშობელ კომპანიას, რომლებიც ერთად იწოდებიან, როგორც „ჯგუფი“.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

„ჯგუფის“ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ზასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

შეფასების საფუძველი

მოცემული კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით გარდა ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისა (ფიქსირებული აქტივები) რომელებიც წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის „ჯგუფის“ ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ის ყველაზე საუკეთესოდ ასახავს „ჯგუფის“ ოპერაციებსა და სამოქმედო გარემოში მომხდარ ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისთვის „ჯგუფის“ ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ა) 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში პირველად მყოფ არცერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას და შესწორებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა „ჯგუფის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები ინტერპრეტაციები და შესწორებები რომელიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

2016 წლის პირველი იანვრის შემდგომ დაწყებული პერიოდებისათვის ძალაში მყოფი და ადრე მიღებული არცერთი ახალი სტანდარტი, ინტერპრეტაცია და შესწორება არ მოახდენს არსებით გავლენას „ჯგუფის“ მომავალი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ❖ ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ❖ ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები
- ❖ ფასს 16 - იჯარა

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში რომელიც მეწარმე სუბიექტებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის ერთიან და სრულ მოდელს სთავაზობს. ფასს 15 წარმოადგენს შემოსავლის ასაღიარებლად ერთგვარ სისტემურ მიდგომას. ის ანაცვლებს ასს 11-ის სამშენებლო კონტრაქტებს და ასს 18-ის შემოსავალს და ოთხ ინტერპრეტაციას. ეს სტანდარტები დაფუძნებული იყო პრინციპებზე, მაგრამ საკმარისი ეფექტური გამოყენების სახელმძღვანელო არ გააჩნდათ. ზოგი სექტორი ცვილებს არ შეიტანს, თუმცა ყველა მათგანისთვის საჭირო იქნება მრავალმნიშვნელოვნად გაძლიერებული სიცხადისა და პრეზენტაციაში ცვილებების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ფასს 15 მოდელი სისტემატურია და უზრუნველყოფს ფართო გამოყენების სახელმძღვანელოს. იგი მოიცავს ხუთ ეტაპს:

1. მომხმარებელთან მოქმედი ხელშეკრულების იდენტიფიცირება.
2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრული ცალკეული შესრულების ვალდებულებები - ესენია ბუღალტრული აღრიცხვის ერთეულები.
3. იმ გარიგების ფასის განსაზღვრა, რომლის ოდენობაც განიხილება და რომლის მიხედვითაც გამყიდველი ელის უფლებამოსილებას.
4. თითოეული ვალდებულების შესრულებისთვის ტრანზაქციის ფასის გამოყოფა, რომელიც დაფუძნებულია ავტონომიურ გაყიდვაზე.
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც მომხმარებელი საქონლზე ან მომსახურებაზე კონტროლს იძენს

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (2014) თან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, აგრეთვე შემოაქვს ახალი განსაზღვრება „მოსალოდნელი ზარალი“ ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე გვთავაზობს ახალ აღრიცხვას ჰეჯირებაზე.

ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა სეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა „ჯგუფის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 აწესებს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით, მოითხოვს იჯარა აღრიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც აქტივი „გამოყენების უფლებით“ და იჯარის ვალდებულება.

ფასს 16 ასევე:

- ❖ ცვლის იჯარის განმარტებას;
- ❖ აწესებს მოთხოვნებს თუ როგორ აღვრიცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები როგორიცაა არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და ოფციები;
- ❖ ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარებზე და დაბალფასიანი აქტივების იჯარებზე;
- ❖ ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უუკუიჯარის გარიგებებზე;
- ❖ ძირითადად იწარჩუნებს ბასს 17 მიდგომას;
- ❖ გვაცნობა ახსნა განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს.

ფასს 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ჯგუფის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად ყველა წლისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

i. ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. „ჯგუფი“ განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში

„ჯგუფს“ არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში.

„ჯგუფს“ არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების კატეგორიას განეკუთვნებიან, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლის კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯების ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ მისაღები სესხები და მოთხოვნები იზომება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

ჯგუფს არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის ჩამოწერა ხდება თუ:

- ❖ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ❖ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისთვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ❖ კომპანიამ გადასცა (ა) აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ii. ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება ქართული და უცხოური ფინანსური და არაფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხებისგან.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. თუ არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

iii. გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაფაროს ვალდებულება ერთდროულად.

iv. ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი საიმედო განსაზღვრაც შესაძლებელია. იმისათვის, რომ დაადგინოს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, ჯგუფი ძირითადად ისეთ ფაქტორებს განიხილავს, როგორიცაა მისი ვადაგადაცილების სტატუსი და არსებობის შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის რეალიზაციის პოტენციალი.

გაუფასურების ზარალის გამოთვლა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას იმ ოდენობისას, რაც საკმარისია ზარალის დასაფარად. ანარიცხები იქმნება ინდივიდუალური შეფასებით იმ რისკიანი ფინანსური აქტივებისა ან აქტივთა ჯგუფისთვის, რომელიც არსებითია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო

ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები გარდა ფიქსირებული ძირითადი საშუალებებისა (მიწა, შენობები და ნაგებობები) ბალანსში აღიარებულია ისტორიული თვითღირებულებით რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით თუ ასეთი არსებობს.

ფიქსირებული აქტივები (მიწა, შენობები და ნაგებობები) ბალანსში აღიარებულია გადაფასებული ღირებულებით რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შედეგად დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს გადაფასების დღისათვის არსებული დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასება ტარდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ბოლო შეფასება მოხდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში.

მშენებარე ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მონტაჟის და მწყობრში მოყვანის ხარჯებს აგრეთვე სხვა კაპიტალიზებად ხარჯებს რომელიც „ჯგუფის“ პოლიტიკითაა განსაზღვრული.

მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვით ან ჩამოწერით განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის გამოყენებაში.

მიწის ნაკვეთები	არ იცვითება
შენობა ნაგებობები	30-50 წელი
ელ. მოწყობილობები და სხვა დანადგარები	8-10 წელი
ოფისის ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
სპორტული მანქანები	5-10 წელი

იჯარა

აქტივები, რომლებსაც „ჯგუფი“ ფლობს იჯარის საფუძველზე და რომლითაც მასზე გადადის არსებითად ყველა რისკი და საკუთრების უფლება, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა. სხვა ყველა იჯარა საოპერაციო იჯარაა და შესაბამისად, იჯარის საფუძველზე განხორციელებული გადახდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის პერიოდის განმავლობაში. „ჯგუფს“ არ აქვს ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდეგ ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მისაწოდებლად. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც ობიექტური მოსაზრება რომ „ჯგუფი“ ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

„ჯგუფის“ კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება დამფუძნებლების მიერ.

გუდვილი აღიარებასთან დაკავშირებით იხილეთ მოსაზრებაზე უარის გამოთქმის საფუძველი.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობა/ნაგებობების გადაფასებისგან მიღებულ მოგებას/ზარალს.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც „ჯგუფი“ მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლი შეფასდეს საიმედოდ და გრეთვე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა:

- ❖ შემოსავალი საიმედოდ შეიძლება დაითვალოს.

- ❖ როდესაც შესაძლოა რომ დასრულების ეტაპისთვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს;
- ❖ ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ❖ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური მდგომარეობაში წარმოდგენილი მუხლები შეფასებულია იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით რომელშიც ოპერირებს „ჯგუფი“ - ქართულ ლარში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

ოფიციალური გაცვლითი კურსები 2017, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარი,ევრო	100 რუბლი
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.794
გაცვლითი კურსი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	2.3949	2.6169

4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში №24

დაკავშირებული მხარეების წარდგენა. თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	-	219,310	352,000
გაცემული სესხები	უმაღლესი რანგის	-	69,576	789,802
მიღებული სესხები				
მისაღები პროცენტები				
გადასახდელი პროცენტები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	48,604	-	-

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	ელ. მოწყობილობები და სხვა დანადგარები	ოფისის ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2016 წლის 1 იანვრისთვის	10,360,896	16,445,559	460,338	782,668	28,049,462
ზრდა	189,250	27,651	7,764	409,859	634,524
შემცირება	0	0	0	0	0
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	10,550,146	16,473,210	468,103	1,192,527	28,683,986
ზრდა	189,250	1,741,685	35,717	412,665	2,379,316
შემცირება	-	-	-	(361,778)	-361,778
გადაფასება	3,115,572	606,027	0	0	3,721,599
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	13,854,968	18,820,922	503,819	1,243,414	34,423,124

დაგროვილი ცვეთა	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობების ცვეთა	ელექტრომოწყობილობების და სხვა დანადგარების ცვეთა	ოფისის ავეჯის და სხვა ინვენტარის ცვეთა	სულ
2016 წლის 1 იანვრისთვის		(587,341)	(112,218)	(212,400)	-911,960
წლის ცვეთის ხარჯი	-	(588,033)	(115,158)	(139,823)	(843,014)
შემცირება	-	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(1,175,374)	(227,376)	(352,223)	-1,754,974
წლის ცვეთის ხარჯი		(637,680)	(121,687)	(206,320)	(965,687)
შემცირება		-	-	16,229	16,229
					-
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(1,813,055)	(349,063)	(542,314)	-2,704,432

ნეტო საბალანსო ღირებულება					
2016 წლის 1 იანვრისთვის	10,360,896.00	15,858,218.03	348,120.67	570,267.81	27,137,502.51
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	10,550,146.00	15,297,836.14	240,726.55	840,303.90	26,929,012.59
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	13,854,968.00	17,007,867.59	154,755.99	701,100.34	31,718,691.92

გაგრძელება

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	სპორტული მანქანები	მშენებარე აქტივები	სულ
2016 წლის 1 იანვრისთვის	355,550	1,366,031	19,007	1,740,589
ზრდა	374,085	0	119,734	493,819
შემცირება	(21,348)	0	0	-21,348
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	708,288	1,366,031	138,741	2,213,060
ზრდა	271,802	202,239	2,628,982	3,103,023
შემცირება	(177,491)	(11,704)	-	(189,195)
გადაფასება			0	0
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	802,598	1,556,566	2,767,723	0 5,126,888

დაგროვილი ცვეთა	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	სპორტული მანქანების ცვეთა	მშენებარე აქტივები	სულ
2016 წლის 1 იანვრისთვის	-67,234	-200,520	0	-267,754
წლის ცვეთის ხარჯი	(65,950)	(239,660)	-	(305,610)
შემცირება	3,199	-	-	3,199
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	-129,985	-440,180	0 0	-570,165
წლის ცვეთის ხარჯი	(101,935)	(258,156)	-	(360,091)
შემცირება	18,715	5,852	-	24,567
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-213,205	-692,484	0 0	-905,689

ნეტო საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 1 იანვრისთვის	288,316	1,165,511	19,007	0 1,472,834
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	578,303	925,852	138,741	0 1,642,895
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	589,393	864,083	2,767,723	0 4,221,199

6. გუდვილი

გუდვილი	2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2016 წლის 1 იანვრისთვის
	7,095,247	7,095,247	7,095,247

გუდვილის შესახებ დაწვრილებით აღწერილია მოსზრებაზე უარის თქმის საფუძველში. ჯგუფს გუდვილის წარმოქმნის შემდეგ არ ჩაუტარებია ტესტი გაუფასურებაზე.

7. მარაგები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 1 იანვარი
გათბობის სისტემები	7,962,031	6,476,251	8,677,508
გაგრილების სისტემები	2,400,272	1,965,726	1,374,690
სათადარიგო ნაწილები	2,543,174	1,741,992	1,333,344
სხვა	1,436,481	2,020,540	1,999,787
საქონელი	1,139,712	1,197,084	1,285,251
ნედლეული და მასალები	75,281	45,716	43,983
პრიზები	2,302	2,360	2,367
ფორმულის წარმოების ნაწილები	0	240,334	245,777
სულ მარაგები	15,559,253	13,690,003	14,962,708

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილი კომპანიის „საგა იმპექსის“ ყველა მარაგი დატვირთულია გირაოთი სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენების უფლებით თიბისი ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 1 იანვარი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	8,059,743	7,269,618	3,988,450
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(1,082,957)	(832,395)	(44,891)
სულ ფინანსური აქტივები	6,976,785	6,437,223	3,943,559
არაფინანსური აქტივები			
გაცემული ავანსები	694,663	1,507,244	1,051,200
სხვა არაფინანსური აქტივები	198,557	176,667	193,530
გადახდილი ავანსების რეზერვი	(137,778)	(20,989)	(7,864)
სულ არაფინანსური აქტივები	755,442	1,662,922	1,236,866
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,732,227	8,100,145	5,180,426

9. გაცემული სესხები

	2017 წლის 31 დეკემბრისთვით ს	2016 წლის 31 დეკემბრისთვით ს	2016 წლის 1 იანვრისთვის ს
გაცემული სესხები	70,397	159,750	799,302
სულ გაცემული სესხები	0	159,750	799,302

10. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს ქონების გადასახადის წინასწარ გადახდილ ხარჯს.

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017 წლის 31 დეკემბრისთვით ს	2016 წლის 31 დეკემბრისთვით ს	2016 წლის 1 იანვრისთვის ს
ფული და ფულის ექვივალენტები	549,033	1,072,682	1,211,592
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	549,033	1,072,682	1,211,592

12. აფასების რეზერვი

აფასების რეზერვი მოიცავს ფიქსირებული აქტივების (მიწა და შენობა ნაგებობები) გადაფასებიდან მიღებულ შემოსავალს. 2016 წლის 1 იანვრისთვის აფასების რეზერვი შეადგენდა 9 729 573 ლარს. ბოლო გადაფასება მოხდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აფასების რეზერვმა შეადგინა 13 980 621 ლარი.

13. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	2016 წლის 1 იანვარი			
				მიმდინარე		გრძელვადიანი	
				პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
ბათუმის ჩოგბურთის კლუბი		ლარი				71,336	74,926
ვითიბი ბანკი		დოლარი				19,198	6,106,995
ვითიბი ბანკი		დოლარი				7,528	2,394,900
TEXOL WORLD WIDE	18%	დოლარი				1,205,578	951,935
ბანკი რესპუბლიკა 1	15%	ლარი	30-Jul-16	16,344	2,456,734		
ბანკი რესპუბლიკა 2	9%	დოლარი	30-Jul-18	9,014	0		2,245,954
ბანკი რესპუბლიკა 3	9%	დოლარი	30-Jul-16	10,368	2,592,067		
სულ სესხები				35,726	5,048,801	1,303,640	11,774,710

გაგრძელება

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	2016 წლის 31 დეკემბერი			
				მიმდინარე		გრძელვადიანი	
				პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
ბათუმის ჩოგბურთის კლუბი		ლარი				86,321.33	74,926.34
რიმ ადვენჩერს	8.0%	ევრო				0.00	0.00
რიმ ადვენჩერს	8%	ლარი				0.00	0.00
ვითიბი ბანკი	10%	დოლარი	15-Mar-23			11,946.80	2,451,028.72
ვითიბი ბანკი	10%	დოლარი	26-Jul-21			19,412.11	3,353,814.25
TEXOL WORLD WIDE	18%	დოლარი				1,522,273.51	1,052,061.29
ბანკი რესპუბლიკა 1	5%	ევრო	29-Jun-17	859.88	6,879,045.93	0.00	0.00
ბანკი რესპუბლიკა 2	5%	ევრო	3-May-17	173.23	1,385,888.26	0.00	0.00
ბანკი რესპუბლიკა 3	5%	ევრო	29-Jun-23	6,910.62	0.00	0.00	4,523,316.12
თიბისი ლიზინგი				0.00	0.00	0.00	329,603.83
სულ სესხები				7,943.73	8,264,934.19	1,639,953.75	11,784,750.55

გაგრძელება

			2017 წლის 31 დეკემბერი			
			მიმდინარე		გრძელვადიანი	
	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა		პროცენტი	ბირი
ბათუმის ჩოგბურთის კლუბი		ლარი			101,307	74,926
რიმ ადვენჩერს	8.0%	ევრო			-	46,566
რიმ ადვენჩერს	8.0%	ლარი			-	100,000
ვითიბი ბანკი	9.5%	დოლარი	15-Mar-23		3,308	2,118,018
ვითიბი ბანკი	9.5%	დოლარი	26-Jul-21		4,478	2,867,524
TEXOL WORLD WIDE	18%	დოლარი	15-Sep-18		1,676,336	1,030,359
თიბისი ბანკი 1	7.5%	ევრო	25-Jan-19	208	403,572	-
	3.75% + რეფინანსირებ					
თიბისი ბანკი 2	ის განაკვეთი *	ლარი	5-Jul-24	7,025	-	3,816,350
	4.5% + რეფინანსირებ					
თიბისი ბანკი 3	ის განაკვეთი *	ლარი	5-Jul-24	9,870	570,406	-
	6.54% +					
თიბისი ბანკი 4	ლობორი **	დოლარი	25-Oct-19	11,733	293,282	-
თიბისი ლიზინგი		დოლარი		-	194,745	-
სულ სესხები				28,836.00	1,462,005.00	1,785,428.59
						16,874,750.60

14.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2016 წლის 1 იანვრისთვის
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	12,706,342	6,563,495	6,286,326
სულ ფინანსური ვალდე	12,706,342	6,563,495	6,286,326
არაფინანსური ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	681,362	285,694	1,953,651
გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებები	1,040,094	794,365	807,440
სულ არაფინანსური ვალდე	1,721,456	1,080,059	2,761,091
სულ სავაჭრო და სხვა ვა	14,427,797	7,643,554	9,047,416

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2017	31.12.2016
შრომის ანაზღაურება	5,031,375.37	4,998,669.18
იჯარის ხარჯი	444,643.00	583,174.00
გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯი	244,457.00	800,628.00
მივლინების ხარჯი	226,601.51	286,716.51
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	188,791.00	100,328.00
ცვეთა და ამორტიზაცია	1,290,799.15	1,161,181.47
ბანკის საკომისიო ხარჯი	168,339.74	329,735.05
კომუნალური გადასახადი	133,110.73	107,016.39
რემონტის ხარჯი	147,697.05	106,188.70
ფილიალის რემონტის ხარჯი	94,766.00	82,786.00
კომუნიკაციის ხარჯები	100,758.15	69,217.25
წარმომადგენლობითი ხარჯი	147,997.27	124,669.15
დაცვის ხარჯი	54,897.00	45,844.00
დაზღვევის ხარჯი	36,928.54	65,742.24
ოფისის ხარჯი	35,824.67	47,268.28
საგადასახადო ხარჯი (ქონების გადასახადის ხარჯი)	457,392.59	358,437.95
უიმედო ვალების რეზერვის ხარჯი	292,641.11	-
სხვა	408,898.98	349,120.32
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9,505,918.85	9,616,722.49

16. სხვა სრული შემოსავალი

სხვა სრულ შემოსავალში ასახულია 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ფიქსირებული აქტივების შედეგად აფასების რეზერვის ზრდა 4 251 048 ლარის ოდენობით.

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, „ჯგუფი“ დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს „ჯგუფის“ მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	7,263,660	6,434,368	3,943,559
გაცემული სესხები	70,397	159,750	799,302
ფული და ფულის ეკვივალენტები	549,033	1,072,682	1,211,592
მთლიანი ფინანსური აქტივები	7,883,089	7,666,801	5,954,454
სავაჭრო ვალდებულებები	12,706,342	6,563,495	6,286,326
მიღებული სესხები	18,365,592	20,057,629	19,130,337
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	31,071,933	26,621,124	25,416,663

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს ჯგუფისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ჯგუფს შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	7,263,660	6,434,368	3,943,559
გაცემული სესხები	70,397	159,750	799,302
ფული და ფულის ეკვივალენტები	549,033	1,072,682	1,211,592
მთლიანი ფინანსური აქტივები	7,883,089	7,666,801	5,954,454

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს ჯგუფის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

	2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2016 წლის 1 იანვრისთვის
არ არის ვადაგადაცილებული	4,726,873	4,219,715	3,534,215
ვადაგადაცილებულია, მაგრამ არ არის გაუფასურებული	2,307,633	2,221,792	409,344
ვადაგადაცილებულია და გაუფასურებულია	1,082,957	832,395	44,891
სულ სავაჭრო მოთხოვნები	8,117,464	7,273,902	3,988,450

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ჯგუფის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება როგორც მფლობელების კაპიტალით ასევე ბანკის სესხით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2017 სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,287,283	93,058	883,318	-	7,263,660
გაცემული სესხები	66,000	-	4,397	-	70,397
ფული და ფულის ეკვივალენტები	549,033	-	-	-	549,033
მთლიანი ფინანსური აქტივები	6,902,316	93,058	887,715	-	7,883,089
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	9,495,514	1,898,613	1,312,216	-	12,706,342
მიღებული სესხები	549,139	2,048,751	13,603,804	5,495,153	21,696,848
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	10,044,653	3,947,364	14,916,020	5,495,153	34,403,190
ლიკვიდურობის დეფიციტი	(3,142,336)	(3,854,305)	(14,028,306)	(5,495,153)	
ჯამური ლიკვიდურობის დეფიციტი	(3,142,336)	(3,854,305)	(14,028,306)	(5,495,153)	

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2016 სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,953,071	686,299	794,998	-	6,434,368
გაცემული სესხები	-	152,752	6,998	-	159,750
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,072,682	-	-	-	1,072,682
მთლიანი ფინანსური აქტივები	6,025,754	839,051	801,996	-	7,666,801
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	5,027,990	1,535,506	-	-	6,563,495
მიღებული სესხები	7,944	8,264,934	9,333,722	2,451,029	20,057,629
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	5,035,934	9,800,440	9,333,722	2,451,029	26,621,124
ლიკვიდურობის დეფიციტი	989,820	(8,961,389)	(8,531,726)	(2,451,029)	
ჯამური ლიკვიდურობის დეფიციტი	989,820	(8,961,389)	(8,531,726)	(2,451,029)	

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2016 1 იანვარი
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,686,301	-	257,259	-	3,943,559
გაცემული სესხები	-	799,302	-	-	799,302
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,211,592	-	-	-	1,211,592
მთლიანი ფინანსური აქტივები	4,897,893	799,302	257,259	-	5,954,454
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	3,295,630	-	-	-	3,295,630
მიღებული სესხები	35,726	11,155,796	4,517,054	1,026,861	16,735,437
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	3,331,356	11,155,796	4,517,054	1,026,861	20,031,067
ლიკვიდურობის დეფიციტი	1,566,537	(10,356,494)	(4,259,795)	(1,026,861)	
ჯამური ლიკვიდურობის დეფიციტი	1,566,537	(10,356,494)	(4,259,795)	(1,026,861)	

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

❖ საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

„ჯგუფის“ საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები, მიზმილია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

❖ სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების

განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი	სულ 2017
სავაჭრო მოთხოვნები	6,022,041	142,443	1,099,176	0	7,263,660
გაცემული სესხები	70,397	0	0	0	70,397
ფული და ფულის ექვივალენტები	540,726	3,288	5,289	0	549,303
მთლიანი ფინანსური აქტივები	6,633,163	145,731	1,104,465	0	7,883,359
სავაჭრო ვალდებულებები	406,155	3,113,304	9,181,936	4,947	12,706,342
მიღებული სესხები	9,118,172	8,797,075	450,345	0	18,365,592
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	9,524,326	11,910,379	9,632,281	4,947	31,071,933
ღია საბალანსო პოზიცია	(2,891,163)	(11,764,648)	(8,527,817)	(4,947)	

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი	სულ 2016
სავაჭრო მოთხოვნები	4,580,892	149,244	1,704,231	0	6,434,368
გაცემული სესხები	95,035	0	64,715	0	159,750
ფული და ფულის ექვივალენტები	696,983	113,566	262,493	0	1,073,042
მთლიანი ფინანსური აქტივები	5,372,911	262,810	2,031,439	0	7,667,161
სავაჭრო ვალდებულებები	183,545	2,422,447	3,952,900	4,604	6,563,495
მიღებული სესხები	404,530	6,856,904	12,796,194	0	20,057,629
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	588,075	9,279,351	16,749,094	4,604	26,621,124
ღია საბალანსო პოზიცია	4,784,836	(9,016,541)	(14,717,654)	(4,604)	

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი	სულ 2015
სავაჭრო მოთხოვნები	2,987,224	132,771	823,564	0	3,943,559
გაცემული სესხები	9,500		789,802	0	799,302
ფული და ფულის ექვივალენტები	230,832	430,167	550,593	0	1,211,592
მთლიანი ფინანსური აქტივები	3,227,556	562,938	2,163,960	0	5,954,454
სავაჭრო ვალდებულებები	126,520	2,668,453	3,486,337	5,016	6,286,326
მიღებული სესხები	4,819,104	11,916,333	0	0	16,735,437
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	4,945,624	14,584,786	3,486,337	5,016	23,021,763
ღია საბალანსო პოზიცია	(1,718,069)	(14,021,848)	(1,322,377)	(5,016)	

გაუთვალისწინებელი გარემოებები

❖ სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ შესაძლოა განხორციელდეს სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მაქსიმალური ვალდებულება, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად (თუკი საერთოდ წარმოიშვა), არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

❖ დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში არანაირი ვალდებულებების, ჯარიმების და საურავების დაწესება არ არის შესაძლებელი, თუ ექვს წელზე მეტი იქნება გასული საგადასახადო წლიდან, როდესაც მოხდა დარღვევა.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების

შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს საკმაო რაოდენობის დაგროვილი ზარალი, ეს ზარალი ძირითადად ეკუთვნის მშობელ კომპანიას თუმცა ბოლო პერიოდში ზარალიანია შვილობილი კომპანიებიც. თუმცა კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ავტოსპორტთან დაკავშირებული საქმიანობა გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი და შემოსავლის ზრდას ელოდება როდესაც დაასრულებს ინფრასტრუქტურის მოწყობას. შვილობილი კომპანიის კუთხით მენეჯმენტი აპირებს შეცვალოს საოპერაციო საქმიანობის პოლიტიკა. 2017 წლიდან რამოდენიმე მსხვილი რეალიზატორის გარდა აღარ ხდება საქონლის კონსიგნაციით რეალიზაცია, ასევე ჯგუფმა უარი თქვა მომწოდებლებისგან წინასწარ მარაგების შესყიდვაზე, შესაბამის რეტრობონუსებზე, ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე ჯგუფის მოლოდინით შემცირდება მოთხოვნების საკრედიტო რისკი და ნასესხებ სახსრებზე კომპანიის მოთხოვნა. მენეჯმენტი არ ფიქრობს რომ კომპანიას უდგას ფუნქციონირების პრობლემა.

პირობითი ვალდებულებები

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას საქმიანობის ჩვეულ პროცესში აქვს სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები. კომპანიას აქვს სასამართლო დავები იმ პირებთან, რომლებმაც დაარღვიეს ნაკისრი ვალდებულებები. ყველაზე მაღალი შედეგი, რაც კომპანიამ შეიძლება მიიღოს ასეთი დავებიდან არის ამ პირებისადმი არსებული მოთხოვნის ნაშთები.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. მენეჯმენტის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ ჯგუფში შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა ჩაატარა შვილობილი კომპანიის შპს „საგა იმპექსის“ საგადასახადო შემოწმება, რომლის შედეგადაც ჯგუფს ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 1,083,690 ლარი, მათ შორის: ძირითადი გადასახადი 709,756 ლარი და ჯარიმა 373,934 ლარი. ჯგუფი თვლის, რომ კანონმდებლობა არ დაურღვევია და აპირებს დავას დამატებით დარიცხულ გადასახადთან დაკავშირებით. ჯგუფი თვლის, რომ დავის მოგების ალბათობა მაღალია და დავის ნაწილობრივ წაგების შემთხვევაშიც, დავა დიდი ხნის მანძილზე გაგრძელდება, ამიტომ დავასთან დაკავშირებით ჯგუფიდან მნიშვნელოვანი სარგებლის გასვლა არ მოხდება